# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი — ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 54 — ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1918 წ. — № 54



ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## ს ხელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. — ნ. დ. ლევიცკის დირექცია.

სამშაბათს, 1 ღვინობისთვეს 1918 წ.

ოპ. 3 მოქმ. და 7 სურ. „პიკოვაია დამა“ მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნი: სკვარეცკისა, მოროზოვა, იანსა, ოვსიანიკოვისა, ორლოვა, ზასლავსკისა; ბ. ბ. ბერეზინი, ვრონსკი, ზუბარევი, დემიანენკო, კურბატოვი, ორლოვი, ორლიუკი, ვოლიანსკი, დირიჟორი — სტოლერმანი. დასაწყისი 8 საათზე. 2 ღვინობ.—„აიდა“, 3 ღვინ.—„კარმენი“, 4 ღვინ.—„დუბროვსკი“.
537 1—1

## კონსერვატორიის დარბაზი.

გრიბოედოვის ქუჩა.

შაბათს, 5 ოქტომბერს გაიმართება

# გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო.

შაბათს 5 ოქტომბერს.

ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. 539 5—1

მე II-ე წელ. ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია ღიაა საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს ყველა სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.
1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.
50—28

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

ტფილისის სასტატო ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ სასწავლებელში უკვე დაიწყო მოწაფეთა მიღება. პირველ კლასში მიიღებიან გამოუცდელად ისინი, ვისაც პირველ დაწყებითი სასწავლებელი დაუსრულებია. დანარჩენ კლასებში ან შესაფერი მოწმობით, ან გამოცდით. სწავლა იწარმოებს ქართულად. სწავლის ფასი სამი თუმანია წელიწადში. თხოვნები მიიღება ყოველდღე ინსტიტუტის კანცელარიაში დიდი მთავრის ქ., № 91, დილის 10 სათ. 1 საათ. 523 3—3

## წინამძღვრიშვილი-ქარის სამეურნეო სკოლის გამგე

აცხადებს, რომ მეცადინეობა სასწავლებელში განახლებული პროგრამით დაიწყება 1 ოქტომბრ. ხსენებული სკოლა აღიარებულ იქმნა სახელმწიფოდ; განზრახულია სკოლასთან პანსიონის დაარსება. სპეციალურ კლასებში მიღებულ იქნებიან დაბალ და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში კურს დამთავრებულნი. თხოვნები უნდა გაიგზავნოს მცხეთაში სკოლის გამგის სახელზე.
512 5-5

## ქალთა VI გიმნაზიის ქართულ კლასებში

(1 განყ.—მე-4 კლასამდე) მიღება გაგრძელდება 4 ოქტომბრამდე. გახსნილი იქნება სომხური კლასებიც (1 განყ—1 კლასამდე) და აგრეთვე მერვე კლასიც.
810 2—2

## ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის და თეატრის

# 5.000.000 მან.

ლოტარიის ბილეთები

ბილეთი ღირს 25 მან.

პირველი მოგება 100.000 მან.
ბილეთები იყიდება იქ, სადაც გამოცხადებულია.
412 60—12


## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 27.

ამა ენკენისთვის 25-ს მივემგზავრები სამსახურის საქმეთა გამო ლიანდაგზე და შემდეგ დასასვენებლად. ვსთხოვ ჩემს ამხანაგს ი. მ. მალანიას შეუდგეს სამინისტროს მართვა-გამგეობას.

გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე.

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის გზათა უწყების მინისტრისა

26 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 29.

გზათა მინისტრის ჯერ სამსახურის საქმეთა და შემდეგ დასასვენებლად გამგზავრებისა გამო ამა წლის 26 ენკენისთვიდან შევუდექი მინისტრის მოვალეობის ასრულებას.

გზათა მინისტრის მოვალეობის ასრულებელი მალანია.

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შრომის სამინისტროსი.

№ 8.

ტფილისის გუბ. შრომის კომისარიატის მდივანი გ. ვ. კოროლიოვი ინიშნება სამინისტროს კანონმდებულების განყოფილების მდივნად 1-ლ ენკენისთვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შრომის სამინისტროსი.

17 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 9.

შრომის სამინისტროს კანონმდებულების განყოფილების მდივანი კოროლიოვი იგზავნება სოხუმში სოხუმის შრომის საოლქო კომისარიატის მოსაწყობად.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.

### ბრძანება

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებლისა.

7 ენკენისთვე 1918 წ.

№ 89.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად, რომლის ძალითაც უქმდება ბათომის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებანი, მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად, ართვინის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული—იაკობ ბაბიჩევი, დღეიდან დათხოვნილია უფროსის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან.

თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი სიდამონიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილების განკარგულება.

№ 31.

10 ენკენისთვე 1918 წ.

ტფილისის მხედრის საავადმყოფოს სახურსათო და საექიმო ნაწილების რევიზიის მოსახდენად ინიშნება განსაკუთრებული კომისია, საექიმო სასანიტრო საქმის უფროსის თანაშემწის ექიმ ი. ელიაშვილის თავმჯდომარეობით. წევრებად ინიშნებიან: საექიმო სასანიტარო განყოფილების სოსოფლო-საექიმო საქმის გამგე ექიმი ნ. პ. რუხაძე, ბუხჰალტერ-კონტროლიორი პოლუმორდვინოვი, კავკასიის საექიმო კავშირის და ქართველ ექიმთა კავშირის წარმომადგენელნი.

№ 34.

განთავისუფლებულია სამსახურიდან და თანამდებობიდან: მე-6-ხე საექიმო სასანიტარო რაზმის უფროსი ექიმი ჩიქოვანი ამ წლის 18 ენკენისთვიდან.

№ 35.

დანიშნულ იქმნა: ექიმი ბაქრაძე—6-ხე საექიმო-სასანიტარო რაზმის უფროს ექიმად ამა წლის 18 ენკენისთვიდან.

საექიმო-სასანიტარო საქმის უფროსი
მ. ზანდუკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის გზათა და სასურსათო საქმეთა მინისტრისა.

25 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 18.

თანახმად ამა წლის 19 ენკენისთვის მთავრობის დადგენილებისა, უნდა მოხდეს სასურსათო საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია. სასურსათო საქმეთა გასაძღოლად საქართველოს რესპუბლიკაში არსდება სასურსათო საქმეთა საბჭო. საბჭოში შევლენ: წარმომადგენელნი ქალაქთა და საერობო თვითმართველობებისა, კოოპერატივთა კავშირისა, მუშათა ცენტრალურ პროფესიანალური ორგანიზაციისა, საინტენდანტოსი, სახალხო გვარდიის მომმარაგებელ (მიმწოდებელ) ორგანოსი, გზათა მთავარ კომიტეტის სასურსათო კომისიისა, მიწათ-მოქმედებისა, გზათა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებათა. დროებით საბჭოს თავმჯდომირის მოვალეობის აღმასრულებლად მთავრობის მიერ ინიშნება—ვასილ იოსების ძე არდიშვილი, რომელსაც ევალება სასურსათო საქმეთა სამინისტროს ჩაბარება ყველა განყოფილებით ფულისა და საქონლის რაოდენობის აღნუსხვით. ყველა საკრედიტო და სადებეტო მოვალეობა სამინისტროსი და აგრეთვე სასამართლოებში სამინისტროს საქმეების გაძღოლა მოვალეობას შეადგენს.

ვ. ი. არდიშვილს ევალება მოიწვიოს მოკლე ხანში პირველი სასურსათო საბჭოს სხდომა, რომელიც აირჩევს საბჭოს პრეზიდიუმიდან ორ წევრს თავმჯდომარის ამხანაგების თანამდებობაზე.

ჩემს სამინისტროს ყველა მახლობელ თანამშრომელს, რომლებსაც უხდებოდათ მუშაობა ისეთ მძიმე პირობებში, როგორშიაც მიმდინარეობა სასურსათო საქმე, და აგრეთვე სამინისტროს ყველა მოსამსახურეს ჩემს გულითად მადლობას ვუძღვნი.

გზათა და სასურსათო საქმეთა მინისტრი ლორთქიფანიძე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 1 ღვინობისთვე.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას მრავალი დაუძინებელი მტერი ჰყავს. ყველა ორგული და პირშავი მეტათ დაინტერესებულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ წაიბორძიკოს და ხრამში გადაეშვას. ამ მხრივ გარეშე მტერი ფხიზლათ მოქმედებს და მომენტს არ უშვებს, რომ საქართველოსკენ ისარი ისროლოს. საქართველოს დასაცემათ და გასანადგურებლათ ისინი ყოველგვარ ზომას მიმართავენ და რითაც შეუძლიათ იმით ებრძვიან მას. პროვოკაცია-დემაგოგია-ცილისწამება—და ბეზღება კულტურულ კაცობრიობის წინაშე, განქიქება და დამცირება დემოკრატიის თვალში და ყველაფერი ასეთი მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის და მის დამცველ ქართველ დემოკრატიის წინააღმდეგ. გუშინდელი შავრაზმელები, თვითმპყრობელობის ერთგულნი დამქაშნი და ნიკოლოზ მეორის ყურმოჭრილი ყმანი,—დღეს გამემარცხენებულან, გასოციალისტებულან და საქართველოს დემოკრატიას დემოკრატობასა და სოციალისტობას უწუნებენ! აბა, რა გასაკვირალია, თუ ამით მათ ჰსურთ დაამტკიცონ თავისი ნამდვილი სოციალისტობა და დემოკრატობა და ამავეში წუნი დასდონ ქართველ ხალხს და მის ხელმძღვანელ მეთაურ პარტიას! მრავალია ასეთი ქვაზისოციალისტი და მიზანი მათი კი ერთია: დაამტკიცონ საქართველოს რეაქციონერობა და ამგვარათ მორალურათ და პოლიტიკურათ დასცენ იგი საერთაშორისო დემოკრატიის თვალში.

ქართველმა დემოკრატიამ კარგათ იცის ეს და არა ცარიელი სიტყვით და წითელი ფრაზებით პასუხს სცემს მათ, არამედ საქმით, ნამდვილი რევოლიუციონური მოღვაწეობით ამტკიცებს წინააღმდეგს, ამტკიცებს თავის კარგ დემოკრატობას და სოციალისტობას.

მარტის სოციალისტებმა და სოციალისტურ მანტიაში გამოხვეულმა პროვოკატორებმა ერთი და ორი დღით შეიძლება დაარწმუნონ საქართველოს სიცრუეში და ანტიდემოკრატობაში ვინმე, ერთი ან ორი დღით შეიძლება შეიტანონ სხვა ერის დემოკრატიაში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული განწყობილება,—მაგრამ ამას ყოველთვის მალე მოეღება ბოლო, რადგან ჩვენ დემოკრატიულ საქმეს ვაკეთებთ და დემოკრატიული ფაქტებით ვართ აღჭურვილი. ამ მხრივ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას კარგზე უკარგესი დამცველი ჰყავს: და ეს დამცველია—მისი მოღვაწეობა, მისი საქმე. ამ შემთხვევაში იგი თამამათ შეჰხედავს ყველას და ანგარიშს მისცემს მას, ვინც ღირსი იქნება მიიღოს იგი.

დამოუკიდებელ საქართველოს წინააღმდეგ შური-მტრობა და კბილთა ღრჭენა შორს ვერ წაიყვანს მის გარეშე და შინაურ მტრებს,—მაგრამ არიან უფრო დიდი მტრები, უფრო პრაქტიკოსი ორგულნი, რომელნიც არა სიტყვით, არა ხალასი პროვოკაციით, არა ირიბულათ, არამედ პირდაპირი საქმით სამარეს უთხრიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ჩვენ მხედველობაში გვყავს ის ვაჟბატონები, რომელნიც აქ არიან, ჩვენს დაწესებულებებში მუშაობენ. ჩვენ მოგახსენებთ მათ შესახებ, ვინც თეთრ კბილებს გვიჩვენებს და საქართველოს მზეზე თიცუელობს, ჩვენ ვეხებით მათ, ვინც ჩვენს გვერდით სხედან და საპასუხისმგებლო საქმეებიც აბარიათ. ხულიგანების მოღვაწეობა თუ იმდენ რამეს ვერ დაგვაკლებს და დიდ საფრთხეში ვერ ჩაგვაგდებს, სამაგიეროთ ამ შინაურ ვაჟბატონების მოღვაწეობა კი მიმართულია აშკარათ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და ლახვარსა სცემს მას.

გარდა ამისა სახელმწიფო დაწესებულების მოხელეები რომ კეთილსინდისიერათ არ ეკიდებიან თავის პირდაპირ საქმეს—ეს ხომ რესპუბლიკის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ცილისწამება რომ არ ეგონოს ვინმეს ნებას მივცემთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ თვით მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის ბ. პ. გელეიშვილის განკარგულება: „როდესაც 11 ენკენისთვეს ამ წლისა წყალთა სამმართველოში ვიყავი დასათვალიერებლათ. აღმოჩნდა, რომ სამსახურში მეცადინეობის დროს მოხელეთა ნახევარზე უმეტესი ნაწილი იქ არ იმყოფებოდა. მოვიკითხე რა, სად არიან, ან რატომ თავისს მოვალეობას არ ასრულებენ მეთქი, ასე მიპასუხეს, რომ დღეს უქმეაო. ვერავინ ვერ ამიხსნა რა მიზეზი იყო, რომ მოხელეთა ნახევარი ნაწილი დღესასწაულობდა, მეორე ნახევარი კი სამსახურში მოსულიყო. იმ დღესვე შესაფერი დარიგება მივეცი წყალთა სამმართველოს ინსპექტორს და ვსთხოვე, რომ სასტიკათ ედევნებინა თვალი, რათა სამმართველოს მოხელეები დაურღვევლად ასრულებდენ მთავრობის დადგენილებას ექვსი საათის სამუშაო დღის შესახებ. დღეს, 14 ენკენისთვეს, დილის 9 საათსა და 35 წუთს კვლავ შევიარე ხსენებულს სამმართველოში და ასეთს სურათს დავესწარი: მრავალს განყოფილებაში მოხელენი სულ არ იყვნენ, ერთს განყოფილებაში რამოდენიმე მოხელეს ერთად თავი მოეყარათ და გაზეთის კითხვაში იყვნენ გართულნი. როდესაც უკან ვბრუნდებოდი წყალთა სამმართველოს ინსპექტორ მომრაძესთან ერთად, კიბეზე შემოგვხვდა ინჟინერი შჩეგლოვი, რომელიც, როცა წყალთა ინსპექტორი შეეკითხა დაგვიანების მიზეზს, განაცხადა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, ჯამაგირი, რომელსაც ვიღებ, არ მყოფნის, და ამიტომ ფიზიკურ შრომას ვეწევიო“.

სურათი მეტათ ნათელია, ნათელია და სამწუხარო და სამწუხაროთვე ეს მოვლენა გამონაკლისს არ შეადგენს. არიან ისეთი მოხელენი, რომელნიც თავის მოვალეობას პირნათლათ არ ასრულებენ და საქმეს გულცივათ ეკიდებიან. ერთი მხრით მათ ეძლევათ ჯამაგირი და მეორე მხრივ თავის ვალდებულებას გაურბიან. ისენი პირდაპირ სახელმწიფოს ჯანსაღი „ინვალიდები“ და ახალგაზდა „პენსიონერები“ არიან. არც ერთ სახელმწიფოს დედამიწის ზურგზე არ ძალუძს ასეთი „ინვალიდები“ და „პენსიონერები“ შეინახოს და ხალხის ჯიბიდან მათ უკანონოთ ჯამაგირი აძლიოს. ცხადია, ასეთ ვაჟბატონებს სახელმწიფო სამსახურში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ და ძლიერ სამართლიანია მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის ბ. პ. გელეიშვილის განკარგულება, რომლის ძალითაც ეს ჯამაგირი და სამსახურის მოვალეობის არ-აღმსრულებელნი სამსახურიდან სალიკვიდაციო ფულის მიუცემლათ დათხოვნილნი არიან.

სახელმწიფოს არ შეუძლიან თავისავე საშოში ზარდოს საკუთარი მტერი.

რესპუბლიკას არ შეუძლიან თავის დაწესებულებებში იყოლიოს პირნი, რომელთა მთელი მოქმედება, თუ უმოქმედობა რესპუბლიკის წინააღმდეგ არის მიმართული.

რესპუბლიკის ყველა მტერს ანგარიში უნდა გავუწიოთ და გავუსწოროთ, სულ ერთია ვინც უნდა იყოს იგი.

უბრალო ვალდებულება და მარტივი ზნეობა მოითხოვს, რომ მოხელემ თავისი საქმე პირნათლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს და თავისი სამსახურში ყოფნით რესპუბლიკას ზიანი არ მიაყენოს.

რესპუბლიკას ამგვარ მოღალატე მოხელეებს თან მიჰყვება და ზურგს უმაგრებს ყველა ის უპატიოსნო და უსინდისო, რომელსაც საქმე ფინანსიურ ოპერაციებთან აქვს. თითქმის ხშირია ისეთი მოვლენა, რომ სახელმწიფო ქონებას ფლანგავენ და ფულს იტაცებენ. ეს ვაჟბატონები, რესპუბლიკის მთავრობის ნდობით აღჭურვილნი, თვით რესპუბლიკის ქონებას ანიავებენ და ხალხის სიმდიდრეს თავის მახინჯ ეგოისტურ ინტერესებისთვის იყენებენ.

აი, მაგალითად, საქართველოს რკინის გზის მოლარე, რომელმაც ყალბი მოწმობებით ფული გასცა. აი, კიდევ ტფილისის სავაჭრო ხაზინის 8 მსახური, რომელთაც ჩეკებისა და ასიგნოვკების გაცემის საქმეში ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს. აი, კიდევ ქალაქ ფოთის სადგურის მწონავი, რომელიც ავეჯის გაგზავნის მაგივრად უკანონოთ, მალულათ, სპეკულიაციური მიზნით მარილს ჰგზავნის და სხვა და სხვა ნამდვილი მოქალაქის სინდისის აღმაშფოთებელი ამბები.

სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში ძარცვა-გლეჯას ვერც ერთი კეთილსინდისიერი მოქალაქე ვერ შეურიგდება. ცხადია: ვერ შეურიგდება მას მთავრობა და ნამდვილი მოქალაქის მოვალეობაც ისაა, რომ მთავრობას მათთან ბრძოლაში დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს. ამგვარი შინაური მტრები უფრო სასტიკნი და დამღუპველნი არიან და ყველა მზად უნდა იყოს მათ შესაფერი სასტიკი პასუხი გასცეს.

ეს მტრები და ორგულნი-პირშავნი საქართველოს რესპუბლიკას ღუპავენ და თვითეული მოქალაქე, ნამდვილი ჭეშმარიტი მოქალაქე, ათასი თვალით და ათასი ყურით უნდა უფრთხილდებოდეს და დამღუპველ მომავალ ფაქტს სახელმწიფოს თავიდან აცილებდეს.

თვითეული მოქალაქე არგუსათ უნდა იქცეს და საერთო ძალ-ღონით რესპუბლიკის ყველა მტრებს უნდა ებრძოლოს, სალ-კლდეთ უნდა დაუხვდეს.

რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მახვილი მას უნდა ასცილდეს და თვით მტრებს უნდა გაეჭდოს გულში.

## პრესის მიმოხილვა.

ადგილობრივ კადეტების ორგანო „რეჩ“-ი სწერს:

„საქართველოს ან და სომხეთის დანგრევას ჩვენ არ ვაპირებთ, მათი დანგრევა და ოსმალეთის სამკვიდრებლად გახდომა ჩვენ ინტერესებში არ შედის; ჩვენ ვიცით, რომ თუ დაინგრა საქართველო და სომხეთი—ამით რუსეთი არ აშენდება ჩვენ ვფიქრობთ. რომ ამბავთა ისტორიულ მსვლელობაში ყველა ცალკე სახელმწიფო კვლავ შეუერთდება რუსეთს. ერთა თავისუფალ ნებაყოფლობით“

ჩვენ არ ვიცით რას ფიქრობს და ან რას იფიქრებს შემდეგ „რეჩი“, მაგრამ, როგორც სჩანს იგი წერის იერით მაინც განსხვავდება მის წინაპარ „ნაროდნაია სვაბოდა-“საგან.—

არ ვიცით რას მივაწეროთ ის, ამბავთა ისტორიულ მსვლელობას, თუ კადეტების ბანაკში შემოდგომის ღრუბლების ჩამოწოლას, მაგრამ იმედია, რომ წერის იერის შეცვლასთან ერთად კადეტები საქმის იერსაც შეიცვლიან.

* *

ამიერ-კავკასიის სოციალისტ-რევოლიუციონერთა საოლქო კომიტეტის ორგანო „ზნამია ნაროდა“ (ყოფილი „ზნამია ტრუდა“) „სურვილს“ გამოსთქვამს,

„რომ „ეროვნულ-უმცირესობათა წარმომადგენელნი თავიანთ სიტყვებს წარმოსთქვამდენ თუ ქართულ ენაზე არა, რუსულ ენაზედ მაინც“.

სხვა თვალსაზრისი იმდენად უაზროა, რომ შეუძლებელია მას იზიარებდეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს უმრავლესობა.

ჩვენ ვიცით, რომ „ტრუდოვოე ზნამია“ ვერ ურიგდებოდა თვით ისეთ კანონებს, ისეთს დადგენილებას ეროვნულ საბჭოსას, რაც ყველა, პატიოსან მოქალაქეთათვის მისაღები იყო, და რაც საბჭოს მიერ ერთხმად სწყდებოდა, მაგრამ თუ „ზნამია ნაროდა“-ს სულის ჩამდგმელები იმდენად შეიცვალენ, რომ ეროვნულ საბჭოს უმრავლესობის აზრს ერწმუნებიან—მოვახსენებთ, რომ ეროვნულმა საბჭომ აღიარა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დედა-ენაზე ლაპარაკის უფლება.

* *

ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებას ჩვენს პარლამენტში ეხება აგრეთვე „ერთობა“. იგი სწერს:

ჩვენც სასტიკათ ვზრახავთ იმ წვრილ ერების ნაცინალისტებს, რომელთაც თითქო თავი მოაქვთ სამშობლო ენის უცოდინარობით და დემონსტრატიულათ მოითხოვენ, რომ მათ რუსულ ენაზე ლაპარაკის უფლება ჰქონდეთ. ამ ნებსით თუ უნებლიეთ გადაგვარებულ ჯგუფისთვის ჩვენ არავითარ უფლების მიცემა არ გვსურს, რადგან უფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და არა მის გადაგვარებულ ნაწილს.

ერთი სიტყვით, პარლამენტის ენა ქართული ენა უნდა იყოს. თუ ეროვნული უმცირესობა მაინც მოისურვებს გამოგზავნოს ისეთი დეპუტატი, რომელმაც ეს ენა არ იცის—დეე გამოგზავნოს. ეს მისი ნებაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დეპუტატი თითონ იგრძნობს უხერხულობას და არ მოისურვებს იჯდეს ისეთ დაწესებულებაში, რომლის ასავალ-დასავალი მას არ ესმის.

## სომხური პრესა.

მანუკ აბელიანი თავის მე-IV-ხე წერილში, რომელიც დაბეჭდილია გაზ. „ჰოლოვრდი ძაინ“-ის მეთორმეტე ნომერში, სწერს:

„საქართველოს მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“ ეროვნულ უმცირესობის პოლიტიკურ უფლებების შესახებ სწერს: „არის ცნობები, რომ არარატის რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ სთვლიან თავის თავს ყველა ის სომხები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. გარდა ლტოლვილებისა ჩვენში ცხოვრობს 200,000 მეტი სომეხი. განა შესაძლებელია სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, რომ ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ცხოვრობდეს ამდენი მკვიდრი სომეხი და ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არ იყვნენ?“

ოფიციალურ გაზეთს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე კერძო გაზეთს და ამის გამო ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვკითხო თუ როდის ან საიდან არის ეს ცნობები მიღებული სომხების ქვეშევრდომობის შესახებ.

ამაზედ, როგორც ჩვენ ვიცით არაფერი არ ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი და სომხის საზოგადოებამაც ამის შესახებ არაფერი არ იცის.

ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ სახელმწიფო სკოლებში მყოფ მოწაფეების მშობლებს შეეკითხენ, ისინი ქართულ სახელმწიფოს ქვეშევრდომებათ სთვლიან თავის თავს, თუ არა. შეკითხვა ისე გამოურკვეველ ფორმებით იყო გამოცხადებული და პასუხიც ისე სწრაფათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეს, რომ ბევრმა არ იცოდა რა ეპასუხნა, რადგანაც თითონაც არ იცოდნენ საქართველოს ქვეშევრდომნი იყვნენ თუ არა. ამასთანავე შეკითხვით მიმართეს აგრეთვე სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებს.

მე ვიცნობ ბევრ სომეხს, რომელიც საქართველოს მკვიდრი მცხოვრები არ არის, თუმცა უნდა რომ საქართველოს ქვეშევრდომი იყოს.

და განა სურვილის გამოცხადებაა საკმარისი, რომ ისინი ჩაითვალონ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ? რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომათ ყოფნა არ ყოფნა განა სუბიექტიური საქმეა? არ არის რომელიმე კანონზედ დამოკიდებული? არსებობს თუ არა კანონი ქვეშევრდომობისა?

რამდენათაც ვიცით, გამოცხადდა მხოლოდ ის, რომ ვინც 1914 წლის ივნისის 19-ს არის ჩაწერილი რომელიმე სახელმწიფოებრივ განყოფილებაში, ის საქართველოს ქვეშევრდომია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეთ ყოფნა ობიექტიური საქმეა და არ არის დამოკიდებული პირად გამოცხადების სურვილზე.

მაშასადამე დასთვალეთ საქართველოში მცხოვრები მკვიდრი სომხები, შეადგინეთ მათი სიები, მიმართეთ მათ პირადათ და მოსთხოვეთ სწორე ცნობები; მაშინ ნახავთ, რომ ძალიან ცოტანი იქნებიან ისეთები, რომლებიც უარს იტყვიან საქართველოს ქვეშევრდომობაზე.

საქართველოში მცხოვრები სომეხი, რომელსაც თავისი სახლი, კარი და თავისი საქმე აქვს, რათ იტყვის უარს საქართველოს მოქალაქეობაზე?

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, ძალიან ძნელია სომხისთვის საქართველოში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იმავე მდგომარეობაში ნახოს თავისი თავი, როგორც ის იმყოფებოდა რუსულ ცარიზმის დროს, რომელიც მოკლებული იყო ყველა პოლიტიკურ უფლებებს, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მუდმივ ესე არ დარჩება, საქართველოს მკვიდრ სომეხსაც ექნება ქართველთან თანასწორი პოლიტიკური და ეროვნული უფლება და თითონ იქნება თავის ბედის გადამჭრელი, ამაში ღრმათ უნდა დარწმუნებული იყოს ყველა სომეხი. საქართველოს თუგინდაც უნდოდეს, არ შეუძლიან წაგვართვას ჩვენი პოლიტიკური და ეროვნული უფლებები საქართველოში.

უკეთუ ჩვენ, სომხები, რესპუბლიკის პირველ თვეებში მოკლებულნი ვართ რესპუბლიკის საქმეებში და პოლიტიკის წარმოებაში მონაწილეობის მიღებას, დარწმუნებული ვართ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, და სოციალ-დემოკრატებს თავიდანვე შეეძლოთ აეცილებინათ ეს მდგომარეობა. მაგრამ ეს არ ჰქნეს და მით უფრო ცუდი თვითონ სოციალ-დემოკრატებისთვის.

თუ ისინი ამას იქითაც განაგრძობენ თავიანთ პოლიტიკას, თუ საქართველოს რესპუბლიკას ამავე ყოფაში დასტოვებენ დიდი ხნით, ეს ერთ დიდ ბოროტებათ გარდაიქცევა არა თუ მარტო სომხებისთვის, არამედ საქართველოსთვისაც.

უკვე წავიდნენ ის დრონი, როდესაც ერთ ერს შეეძლო მეორე ერი ყმობაში ჰყოლოდა. როცა ერთხელ ერმა ნახა თავისუფლობის და ეროვნულ თვითგამორკვევის გემო, ამას იქით არც ერთი ეროვნული უმცირესობა ნებას არ მისცემს არავის, რომ მას ეთამაშონ, ხელში ჩაიგდონ და დაიბეჩავონ, იქნება იგი ქართველი თუ უფრო მაზედ რიცხვით და ძალით დიდი ერი.

ჩვენმა კეთილმა მეზობლებმა უნდა ძალიან კარგათ იცოდნენ, რომ სომხის ერი იმისთანა ერი არ არის, რომელიც მიუხედავათ ოსმალებისაგან დაჩაგვრისა, თავისუფლების მოსწრების შემდეგ უარს იტყვის სამართლიანობის უფლებებზე.

სამ თვეზედ მეტია რაც ჩუმათა ვართ და არ მოგვითხოვნია ჩვენი უფლების აღდგენა. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული უბედურებანი ერთი და ორი არ არის, მეორეც, იმიტომ, რომ არ გვინდა ამ თავითვე გაუძნელოთ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას საქმიანობა. ეს უნდა დაიჯერონ ჩვენმა მეზობლებმა და დარწმუნდენ ამაში. თუ სომხებში არიან ბოლშევიზმით გატაცებულნი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებიან, ამისთანები არიან აგრეთვე თვით ქართველებშიაც. მაგრამ ყოველი სომეხი, იქნება იგი მკვიდრი მცხოვრები საქართველოსი, თუ სომხეთიდან გადმოსული, ისურვებს, რომ საქართველო გაძლიერდეს და განმტკიცდეს, იმიტომ რომ ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან ჩვენც გვაქვს უფლება ამ ქვეყანაში სხვებთან ერთად თანასწორ პირობებში ვიყოთ ჩაყენებული.

# ეროვნული საბჭო

## მე-35 სხდომა

**სამშაბათი, 3 ენკენისთვე 1918 წ. ტფილისი, სასახლე.**

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი.

მდივნობს ეროვნულ საბჭოს მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია.

პრეზიდიუმში არის თავმჯდომარის ამხანაგი ექვთ. თაყაიშვილი.

სხდომა ნაშუადღევის 12 ს. და 40 წ. იწყება.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. გთხოვთ დაბრძანდეთ. მდივანს ვთხოვ წაიკითხოს დღიური წეს-რიგი.

იოს. აბაკელია (კითხულობს) ცნობა კომისიაში გადასაცემ კანონ-პროექტისა.

პირველი. გარეშე საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. (საბჭო ადგენს ეს კანონ-პროექტი საფინანსო კომისიას გადაეცეს წინასწარ განსახილველად).

იოს. აბაკელია. (კითხულობს).

პირველი. საბოლოო ტექსტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონისა.

მეორე. საბოლოო ტექსტი საკლავ საქონლის აწინდელ გადასახადის გადიდების კანონისა.

მესამე. საბოლოო ტექსტი ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ოქმების შემდგენელთა ჯამაგირის გათანასწორების კანონისა.

მეოთხე. საბოლოო ტექსტი ქ. ქიათურის სასარგებლოდ შავი-ქვის გადასახადის გადიდების კანონისა.

მეხუთე. მსჯელობის გაგრძელება განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების კანონ-პროექტის შესახებ.

და მეექვსე საბჭოს. წევრის ალ. ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პურის და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ.

(საბჭო ამ დღიურ წეს-რიგს უცვლელად ამტკიცებს).

თავმჯდომარე. საბოლოო ტექსტი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. მომხსენებელია შალვა ამირეჯიბი.

შალვა ამირეჯიბი. (ერ. დემ.) სარედაქციო კომისიის მიერ მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონი ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში სწერია: კანონ-პროექტი ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ. ჩვენ შევცვალეთ კანონი ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა. სიტყვა დებულებანი დებულებად მივიღეთ ესე: (კითხულობს)

ჩვენ შემდეგ ვიხმარეთ სიტყვა: ცნობილ იქმნას მაგივრად—გამოცხადდეს. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია:

ა) ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ჩვენ სიტყვა ცნობილ იქნეს შევცვალეთ სიტყვათ გამოცხადდეს. მივიღეთ ასე:

ა) გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფოს უნივერსიტეტად და დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

შემდეგ აქ ეწერა:

ბ) სახელმწიფოს ყოველ-წლიურ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

შემდეგი შენიშვნა და მესამე მუხლი უცვლელად არის მიღებული. აქ შევცვალეთ მხოლოდ სიტყვა იქმნას, სიტყვით იქნეს. მივიღეთ ასე:

შენიშვნა: ამა 1918 წელს მიეცეს ტფილისის უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვისა, 334.300 მ.

გ) დამტკიცებულ იქნეს დროებითი ძირითადი დებულება უნივერსიტეტისა.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე შესწორებისა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგ.

შ. ამირეჯიბი. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში იყო „დებულებანი“. ჩვენ შევცვალეთ სიტყვით „დებულება“ მუხლი პირველი: (კითხულობს)

§ 1. ტფილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროს მხრივ, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს.

ამ მუხლში შეცვლილი არის სიტყვა „სამოსწავლო“. ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა „სასწავლო“. იმიტომ, რომ „სამოსწავლო“ არის ученическій, რუსულად რომ გადავთარგმოთ—სასწავლო—учебный. მივიღეთ ასე:

§ 1. ტფილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრითაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინაა, მაშასადამე ეს შესწორება მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მეორე მუხლი უცვლელადაა დატოვებული.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში არის სიტყვა „ქონებრივი სახსარი“, ჩვენ ვიხმარეთ „საშუალება“ „სახსარის“ მაგივრად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მუხლი მეოთხე. ამ მუხლში არსებითი ცვლილება არ შეგვიტანია. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში მიღებულია: „ქონებრივ შესაძლებლობის მხრივ“.

ჩვენ ვიხმარეთ: „ქონებრავის მხრით“, იმიტომ რომ ქონებრივ შესაძლებლობის მხრივ ტავტოლოგია გამოდის.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. V, VI, VII, VIII, IX და X მუხლებში უცვლელადაა მიღებული.

მეთერთმეტე მუხლში შეცვლილია: „სასწავლებლის“ მაგივრად ყოველ შემთხვევაში ვხმარობთ „სკოლას“, ვინაიდან სარედაქციო კომისია მუდამ ამ სიტყვას ხმარობდა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მეთორმეტე მუხლში მხოლოთ ერთი სიტყვა არის შეცვლილი. ძველ ტექსტში ნათქვამია: „ღირსეულად“, სარედაქციო კომისიამ შესცვალა “ღირსად“.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მეცამეტე მუხლში საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია სიტყვა „ცნობილი“, ჩვენ შევცვალეთ „განთქმული“. „უგამოცდოთ“, ჩვენ შევცვალეთ „გამოუცდელად“.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მუხლი მეთოთხმეტე. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ვკითხულობთ:

§ 14. უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლივ სახალხო განათლების მინისტრს ლექციების ნუსხას უგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორებთა, ლაბორანტებისა და ასისტენტების შემადგენლობისა, მათ განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ, ცნობას აწვდის.

ჩვენ მივიღეთ შემდეგ ნაირად: უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლივ სახალხო განათლების მინისტრს ლექციების ნუსხას გაუგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორების, ლაბორანტებისა და ასისტენტების შედგენილობისა, მათ განათლებისა და სამეცნიერო ცენზის ცნობას აწვდის.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მუხლი მეხუთმეტე. აქ უფრო სტილისტური შესწორება არის. საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია საგნები. § 15. ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული. თითოეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე საგნების დამატებითი წინასწარი ცოდნა მოსთხოვონ.

სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებულია § 15. ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონდეთ გათავებული. თითოეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა წინასწარ მოსთხოვოს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. სასწავლებელი შეცვლილია?

შ. ამირეჯიბი. დიახ, როგორც ყველგან. 16, 17 მუხლი უცვლელადაა მიღებული მეთვრამეტე მუხლი, საბჭოს მიერ მიღებულ ტექსტში ასე გახლავთ ნათქვამი: უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და, თუ მოისურვეს, მსმენელებმა, უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობისა და გამოცდების დაჭერის შემდგომ, შესაფერს მოწმობას აძლევს.

სარედაქციო კომისიამ ასე შესცვალა: უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და მსმენელებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ, უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ შესაფერს მოწმობას აძლევს.

ჯაჯანაშვილი. მეჩვიდმეტე მუხლში სწერია: „სტუდენტები მსმენელნი...“

თავმჯდომარე. უკაცრავად ბატონო მეჩვიდმეტე მუხლი უკვე მიღებულია.

ფალავა. მე არ ვიცი, შეიძლება ცუდად გავიგე. ყოველ შემთხვევაში ნათქვამი არის, რომ სტუდენტებს ყოველ შემთხვევაში აძლევენ მოწმობას, მსმენელებს კი თუ მოისურვებენ მაშინ აძლევენ მოწმობასო. სარედაქციო კომისიის ტექსტში გამოდის ასე: სტუდენტებს და მსმენელებს აძლევენ მოწმობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი ისინი მოისურვებენ. მე ასეთი შთაბეჭდილება მივიღე. აქ აზრთა სხვა და სხვაობაა. აქ შესწორებულია სტუდენტებისთვის სავალდებულოა ჩაბარება გამოცდებისა და მოწმობის მიცემა, და მსმენელებისთვის თუ მოისურვებენ. მაშინ გამოდის თითქო ორივე მსმენელები არიან.

შ. ამირეჯიბი. საბჭოს მიერ მიღებული ტექსტი ასეთი გახლავთ: უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და, თუ მოისურვეს მსმენელებმა, უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობისა, და გამოცდების დაჭერის შემდგომ შესაფერს მოწმობას აძლევს.

ჩვენ შევცვალეთ: უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებსა და მსმენელებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ — ეს უკანასკნელნი ეკუთვნის მსმენელებს. ასე რომ აქ აზრი გარკვეულია.

რ. გაბაშვილი. მე მგონი, ძველი რედაქცია სჯობს, იმიტომ, რომ უფრო ნათლად გამოხატავს იმ აზრს, რომელიც მიღებული უნდა იყოს, როგორც ფალავამ გამოსთქვა; აქ არის პირდაპირ ნათქვამი პირველ რედაქციაში სტუდენტებს აძლევენ მოწმობას და—მსმენელებს, თუ მოისურვებენ. მეორე რედაქციაში გაუგებრად არის, სტუდენტები და მსმენელნი მოქცეულნი არიან ერთ კატეგორიაში ამიტომ მე ვიძლევი წინადადებას, რომ დარჩეს ძველი რედაქცია.

რ. არსენიძე. საკვირველია, რეზო გაბაშვილის მოხსენება-განმარტება ამ შემთხვევაში: პირველი ტექსტიც ასეთი არის. ერთი და იგივე ფორმით არის დაწერილი, ერთი და იგივე ზმნა აქვს. მხოლოდ აქ უფრო გრამატიკა არის დაცული. პირველ ტექსტში კი ამას ვერ ვხედავთ, ნამდვილი აზრი დატოვებულია, აი თუ გინდათ ყური დაუგდეთ: აქ სწერია: სტუდენტებმა და მსმენელებმა, შესაფერ მოწმობას აძლევს.—ჩვენ შევცვალეთ: უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებსა და მსმენელებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ, შესაფერ მოწმობას აძლევს.

(ხმები: თქვენ მეორე რედაქცია გაასწორეთ. სხვანაირად წაიკითხეთ) ასე სწერია აქ. თუ გინდათ მობრძანდით და წაიკითხეთ: მე ეხლა არა მაქვს კარანდაში, რომ ჩავწერო. „მსმენელებს, თუ უკანასკნელნი მოისურვებენ“. ცხადია, რომ სურვილზე არის დამოკიდებული, ცხადია, ეს ეხება მხოლოდ მსმენელებს. ჩემის აზრით ეს უნდა იყოს მიღებული.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მუხლი მე-19-ე. ეს მუხლი მთლად დარჩა. მხოლოდ ერთი სიტყვა ჩავასწორეთ. საბჭოს მიერ მიღებულ მუხლში ნათქვამი არის: „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. ჩვენ ვიხმაროთ „პროფესორობისათვის“ მოსამზადებლად.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

შ. ამირეჯიბი. მუხლი მე-20-ე უცვლელად არის მიღებული. მუხლი 21 უცვლელად არის მიღებული.

შემდეგ, ბატონებო, ამ ძირითადი დებულებისა არის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უცვლელადაა მიღებული სარედაქციო კომისიის მიერ.

თუ გნებავთ წავიკითხავ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის.

თავმჯდომარე. გსურთ თუ არა? (ხმები არ არის საჭირო). მაშასადამე მიღებულია. საბოლოო ტექსტი კანონ-პროექტისა, საკლავ საქონლის ნიხრის გადიდებისა. მომხსენებელია არსენიძე.

რაჟ. არსენიძე. (ს.-დ.). უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებრივი კანონ-პროექტები ისე ურიგოდ იწერებიან, რომ იმ სახით მათი მიღება მაინც და მაინც არ შეეფერება საბ-

ჰოს ღირსებას. მათ შესწორებისათვის საჭირო იქნება სპეციალური კომისია. მე განგებ მოვიტანე ეს კანონ-პროექტი რომ დაგანახვოთ, თუ რამდენი შესწორება დასჭირდა. არ მგონია, რომ უბრალო კორესპონდენცია მეტს შესწორებას მოითხოვდა. ამ ტექსტში კი არამც თუ უბრალო შესწორებაა, აზრის აზრთან შეფარდება,—ჩვენ ამის გარდა საკოდიფიკაციო მუშაობაც დაგვჭირდა, და არა უბრალო სარედაქციო შრომა, უბრალო მოწაფეს რომ დაეწერა, მას ასეთ შეცდომებში ალბად 2-ს დაუსვამდნენ, იქნებ კიდევ უფრო სხვა ცუდ ნიშანს. აი არის ასეთი შესწორება. ერთ ნუსხის სათაურში არის შეფასება—მეორეში სულ სხვა პროცენტია, აი მაგალითად—ერთ რუბრიკაში სწერია წლისა, 2 წლისა, 2 ნახევარისა—მეორეში სადაც შეფასებას ვერაფერს ამის შესახებ ვერ დაინახავთ. მესამე რუბრიკაში არის ნახევარი წლის 1 წლ. და წლინახევარისა. მიუხედავად იმისა, რომ ნუსხაში არის ადგილი 1 წლისა. წლინახევრისა—2 და სადაც პროცენტებია მათ შესახებ არ არის ნაჩვენები. ამისთვის გრამატიკას მაინც უნდა მიექცეოდა ყურადღება, რომ ამაზედ ჩვენ არ გვიხდებოდეს მუშაობა. ამის გარდა ჩვენ უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება, რომ კომისიებმა ყურადღება მიაქციონ; ჩვენ გვიხდება ქვედა მუხლის ზედა მუხლთან შედარება—რომ ლოღიკურად სწორედ იყოს აზრი, საერთოდ ჩვენ ენას ვასწავლით კომისიებს. გვიხდება უბრალო სტატისტიკური, უბრალო ხასიათის მუშაობა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ჩვენ გვიხდება სხვა და სხვა კომისიების მუშაობა. მე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ მეჩვენებინა, თუ როგორი ზედმეტი მუშაობა უხდება სარედაქციო კომისიას საერთო ლოღიკურ შესწორებებზე და აზრის ლოღიკურ ჩამოსხმულობაზე.

## პატარა შენიშვნები.

ნ.

ჩვენში თარეშს მიჩვეული უპასუხისმგებლო რუსი ჩინოვნიკობა და ოფიცრობა დღემდე კიდევ ვერ გამოთხოვებიან ბატონობის სურვილს. ისინი აშკარად თუ ფარულად, როგორც სიტყვით, ისე საქმით მოქმედებენ ჩვენი რესპუბლიკის და მთავრობის წინააღმდეგ; აწყობენ სხვა და სხვა მალულ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რითაც ლამობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენს დამოუკიდებლობას.

ეს ვაჟბატონები ლოიალობამ და დემოკრატიულად მოპყრობამ უფრო გაათავხედა. ერთ ასეთ თავხედობის ნიმუშს წარმოადგენს თხოვნა რუს პოლკოვნიკ მ ი კ უ ლ ი ნ ი ს ა, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობისათვის ციხეში ზოუთავსებიათ. რუსი კონტრრევოლიუციონერი ციხიდანაც კი ბრაზმორეული კილოთი სწერს თხოვნას რუსთა ეროვნულ საბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე მისი განთავისუფლების შასახებ.

მოვიყვანთ თხოვნის ზოგიერთს ადგილებს, რომ უფრო ნათელი შეხედულება ვიქონიოთ მის ავტორზე, რომელიც განთავისუფლებას მოითხოვს: „ასეთი მოპყრობა შეუძლებელია დემოკრატრიულ ქვეყნებში, რომელთა შორის შეცდომით თავი მოაქვს „კუკუ", (ვითომ „კუკრუზნია" სიმინდის) საქართველოსო"... არ მოსწონს ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატობა მიკულინებს, მაგრამ სად ჰგონიათ უკეთესი, რუსეთში ხომ არა? მაშ, მიბრძანდნენ იქ და დასტკბენ რუსეთის დღევანდელი „დემოკრატიული" და „რევოლუციონური" მდგომარეობით.

სხვათა შორის კონტრ-რევოლუციონურ პოლკოვნიკ მიკულინის დატყვევების დროს ნამეფარის სურათი აღმოაჩნდა, რის შესახებ იმავე თავხედური და ბრაზმორეული კილოთი სწერს: „ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის სურათიც, რომელიც მე მინახეს არ აძლევს უფლებას საქართველოს მთავრობის აგენტებს დამამცირონ და მაწამონ, რადგან მე რუსი ვარ და არ შემიძლიან გავიზიარო დამპატიმრებელთა აზრი: წიხლი ჰკარ მას, ვის წინაშე უწინ ლაქუცობდი"... ლაქუცობა დ ლაქიობა ეს მუკულინების საქმეა. ჩვენს ერს არასოდეს არ ჰყვარებია ნიკოლოზ II-რე და მისი მთავრობა, რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ქართველი დემოკრატია ყოველთვის პირველ რიგში იდგა, მაგრამ მუკულინის მგზავსი ხულიგანები თავის არშინით ზომავენ: მათ დღისით თუ ღამით ნიკოლოზ II-რე და მისი მთავრობა ელანდებათ. და რა გასაკვირველია თუ ამ ჯურის ხალხმა კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობაზე ხელი არ აიღოს, მაგრამ ნურც ის გაუკვირდებათ ამ ვაჟბატონებს, და მათ დამცველ გაზეთ „ედინენიეს" და მის პუბლიცისტ სელინახოვიჩებს, თუ მათი მოღვაწეობა ღირსებისამებრ დააფასონ*). გ.

*) ბბ. მიკულინები შესანიშნავათ არიან დახასიათებული გენ. ოდიშელიძის წერილში. („ბორბა" № 177).

## ჩეხო-სლოვაკები და მათი მოქმედება.

1.

ეგრედ-წოდებული ჩეხო-სლოვაკების მოძრაობა, როგორც ეს მრავალ საბუთებიდან ირკვევა, დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოსკოვის სახალხო საბჭოთა მთავრობისათვის. ეს საფრთხე ტროცკის აზრით ყოველ საფრთხეზე უდიდესია. ყოველ შემთხვევაში ჩეხო-სლოვაკების მოძრაობა დიდ-მნიშვნელოვან მოვლენათ უნდა ჩაითვალოს დღეს. ამას, სხვათა შორის, მოწმობს ის ყურადღება, რომელიც ამ მოძრაობამ ევროპის პრესაში მოიპოვა უკანასკნელ დროს. ყველა ცოტად თუ ბევრად გავლენიანი გაზეთი ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, იტალიაში და სხვ. ათავსებს წერილებს, სადაც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი არკვევენ ამ მოძრაობის ხასიათს და მნიშვნელობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ მოძრაობას უჩენია თავი არა მარტო რუსეთში, არამედ ბალკანეთში, იტალიაში და დასავლეთ ფრონტზე.

ამ დიდათ საინტერესო მოძრაობის შესახებ ჩვენ ქართულ პრესაში ძლიერ ცოტა რამ არის დაწერილი, და ეს მოვლენა საკმაოდ არ არის გაშუქებული.

ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანული, პრესით ვისარგებლოთ, და ჩვენს მკითხველებს მივაწოდოთ ამ მოძრაობის შესახებ ცნობები. ამ კითხვას საყურადღებო წერილებს უძღვნის ბერლინის გაზეთ „Der Tag"-ის ფურცლებზე პოლკოვნიკ იმმანუილი. მისი აზრით, ჩეხები და სლოვაკები, რომელნიც ავსტრო-უნგრეთის ჯარის საგრძნობელ ნაწილს შეადგენენ, საერთოდ ამ ომის ტვირთის ზიდვის დროს, არც ერთგულებით, არც სხვა საჭირო მოქმედებით, არ ჩამორჩენიან ავსტრო-უნგრეთის სხვა ტომის ხალხთ. თუმცა გერმანიის მტრები ბევრს ეცადნენ, რომ ჩეხო-სლოვაკებს ეღალატნათ თავის სამშობლო ავსტრო-უნგრეთისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, და ჩეხო-სლოვაკების ჯარის უმეტეს ნაწილს არ გაუტეხიათ ფიცი და ერთგულება თავის სახელმწიფოსადმი. მტრების სახელმწიფოების პრესის ცნობა, ვითომც ჩეხო-სლოვაკები „პოლკებით" და კიდევ უფრო მეტი სამხედრო ნაწილებით თავის ნებით გადადიოდენ რუსების, სერბიელების, იტალიელების და რუმინელების მხარეზე, უზომოდ გაზვიადებული და გადამეტებული იყო.

პოლკ. იმანუილა სწერს:

თუ ეს ასეა, ჩვენ მაშინ ვეკითხებით ჩვენს თავს, საიდან წარმოსდგენ ის ასი ათასობით ეგრეთ წოდებულნი ჩეხო-სლოვაკები, რომელნიც დღეს რუსეთში დიდ როლს თამაშობენ და რომელთა შესახებ სხვა ფრონტებზედაც ბევრს ლაპარაკობენ?

ამ მოძრაობის უმთავრეს მასას შეადგენენ ჩეხების და სლოვაკების ჩამომავლობის ტყვეები, რომელნიც,—ომის დაწყების დროს გალიციაში და სერბიაში, შემდეგ კი იტალიის ფრონტზე და სახელდობრ 1916 წელში ეგრეთ-წოდებულ ბრუსილოვის შეტევის დროს,—მტერს ჩაუვარნდენ ხელში.

თუ რამდენად დიდია მათი რიცხვი, დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას. ყოველ შემთხვევაში ეს რიცხვი არაა მცირე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ის არც ისე დიდია, როგორც ამას გერმანიის მტრების პრესა არწმუნება.

ამ ტყვეებს უნდა დავუმატოთ აგრეთვე ის ჩეხები და სლოვაკები, რომელნიც ომის გამოცხადების დროს გერმანიის მტრების სახელმწიფოებში სცხოვრობდენ და ამიტომ სამშობლოში ველარ დაბრუნდენ, ზოგი იმიტომ, რომ საშუალება ამისა არ ჰქონდათ, რადგანაც გზა მათთვის დახურული იყო, ზოგნი კი, შეიძლება, თვით თავის სურვილით დარჩნენ სამშობლოს გარედ.

ჩეხებს, სლოვაკებს და მათი ტომის მონათესავე ტყვეებს რუსეთში ათასნაირ შეღავათს დაჰპირდენ, თუ კი ისინი დასთანხმდებოდენ შეედგინათ განსაკუთრებული სამხედრო ნაწილები, ეგრეთ წოდებული ლეგიონები, რათა მათ თავის სამშობლო ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ გაელაშქრათ.

პირველი ჩეხო-სლოვაკების ლეგიონები შესდგნენ 1916 წ. რუსეთში და ბრუსილოვის უმაღლეს ხელმძღვანელობით იბრძოდენ ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

## სომხეთა ცხოვრებიდან.

ამ დღეებში ჩამოვიდა გუმბრიდან ქალაქის თავი ლ. სარქისიანი, რომლისთვისაც ოსმალეთის მთავრობას ნება მიუცია, რადგანაც ქალაქი და მისი მაზრა კრიტიკულ მდგომარეობაშია უსურსათობის გამო, იყიდოს პური და სხვა სურსათი სარდარაბადის ოლქში და განჯის გუბერნიაში. სარქისიანმა ამის გამო მოახდინა სომხის საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში დიდი კრება, სადაც დაესწრო 150-დი ალექსანდროპოლელი. ამ კრებაზე ალექსანდროპოლის ქალაქის თავმა გააცნო დამსწრეებს თუ რა ძნელ მდგომარეობაშია ალექსანდროპოლის მაზრის 300,000 მცხოვრები სურსათის უქონლობის და ნაკლულევანობის გამო, და აგრეთვე ფულის უქონლობით. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქს ჰქონია თავისი საკუთარი ფული, მაგრამ ოსმალოების თავდასხმის დროს ქალაქის მმართვა-გამგეობის წევრები გაქცეულან და თან წაუღიათ ქალაქის ფული მილიონ ნახევარ მან. მაგრამ ამ ვაჟბატონებს, გამგეობის წევრებს—შარაფიანს, ნავოსარდიანს, ქეშიშიანს და სხ. არ უნდათ ანგარიშის მიცემა, მოჰყავთ უმნიშვნელო, უბრალო საბუთები, რომ ალ. ხატისიანი, ყოფილი ქალაქის თავი არ არის აქ, და ჰაიასტანის მთავრობისგან განკარგულება არა აქვთ მიღებული ამის თაობაზე და სხვა.

კრებამ გაიცნო საქმის ვითარება და ერთხმად დაადგინა შემდეგი:

1. პროტესტი გამოუცხადონ იმ ცილისწამებაზე, ვითომ ალექსანდრეპოლელები (ლტოლვილები) წინააღმდეგი არიან, რომ თავიანთი მიცემული ფული არ დაუბრუნდეს ქალაქს იმ დროს, როცა გამოქცეული ლტოლვილები ყოველ წამს მზათ არიან დაბრუნდენ თავიანთ ადგილებში.

2. მოეთხოვოს, ქალაქის ძველ გამგეობას, რომ სამი დღის განმავლობაში გადასცეს ახალ გამგეობას მასთან დარჩენილი ნაღდი ფული როგორც ქალაქისა ისე სასურსათო და სხვა ფული, რომელიც კი ქალაქს ეკუთვნის.

8. გამოცხადდეს, რომ ქალაქის ძველ გამგეობას იმ ფულის, რომელიც მათზე ითვლება, ერთი გროშის დახარჯვის უფლება არა აქვს, წინამდმდეგ შემთხვევაში კანონიერ პასუხისმგებლობაში მიეცეს.

4. მოეთხოვოს, ძველს გამგეობას ყველა ანგარიშები გადასცეს ახალ კანონიერ გამგეობას პირველ ოქტომბრისათვის.

***

ლორის სათვისტომო კავშირის გამგეობას დაუბეჭდია „მშაკში" ცნობება ლორის ოლქში ყაჩაღთა ბოროტმოქმედების შესახებ და სთხოვს ეს ცნობები გადაბეჭდონ აგრეთვე სხვა გაზეთებმაც. „ენკენისთვის 14-ს" ბამბაკის მაზრიდან სოფელ ავდიბეკიდან სათვისტომო გამგეობასთან გამოცხადდენ ნაზარეთ ავეტისიანი, მუშელ ტერ-გეორგიანი, ზურაბ კუკუნიანი და ბაღდასარ ალექსანოვი, რომელთაც გვიამბეს შემდეგი: აგვისტოს 25-ს, სოფ. ჰახპატის და გორნაკის შუა, სანაინის მთებში თავს დაგვესხა თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბო. ყაჩაღებმა გზიდან ერთი ვერსით დაგვაშორეს, წაგვართვეს სუყველაფერი, თეთრეულიც კი და ფულად წაიღეს 17,000 მანათი. ჩვენ ბევრი ვეცადეთ, რომ გაგვეგო ვინ იყვნენ გამცარცველები და აღმოჩნდა რომ ისინი სოფელ ახპატიდან არიან. ყაჩაღების წინამძღოლი არის დერენიკ ერზინკოვი, და ბრბოს უმთავრესი წევრები-არამაის მელქუმოვ, ერვანდ ფერუზოვ და სერგეი სალაგონიანცი. ამ ბრბოს აგვისტოს 24-ს იმავე ალაგას გაუცვარცამს დავით ელიაზაროვი და ყაზარ ეგანოვი, რომალებისთვისაც წაურთმევიათ 3.000 მანეთი. როცა სოფლის კომისარმა სიმონ ისრაელოვმა შეიპყრო ბოროტმოქმედი სერგი სალაგონიანი, მისმა ამხანაგ ავაზაკებმა და ნათესავებმა სოფელს სროლა აუტეხეს და დააწიოკეს მთელი საზოგადოება. გაიტაცეს დატყვევებული ამხანაგი და დასჭრეს კომისარი მარჯვენა ფეხში და ხელში. აქამდის ბოროტმოქმედნი ვერ შეიპყრეს და სოფლები დიდ შიშში ჰყავთ. საინტერესოა ვიცოდეთ, იცის თუ არა ეს ყველაფერი გუბერნიის კომისარმა და თუ იცის რა საშუალებაა მიღებული ყაჩაღების წინამდეგ, რომლებიც ასე უდიერად თარეშობენ სასოფლო გზებზე, სცარცვავენ და ჰკლავენ მგზავრებს.

## დეპეშები.

### ომი.

ვ ე ნ ა. 29 ენკენისთვე. იტალიის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ალბანიის ნაპირთან და ბერატთან იტალიელები იმარჯვებენ.

ს ტ ა მ ბ უ ლ ი. 29 ენკენისთვე. პალესტინის ფრონტი. დერას-დამასკუსის რკინის გზის გასწვრივ და ტიბერის ტბის ჩრდილო-დასავლეთით ინგლისელები წინ მიიწევენ. დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.

პ ა რ ი ზ ი. 28 ენკენისთვე. ფრანგთა ჯარები განაგრძობენ იერიშს მდ. ენის ჩრდილოეთით, სადაც გერმანელები ელეტუნიკისაკენ, ალემან და კონის ხაზის აღმოსავლეთით მოქმედებენ. ფრანგთა მოწინავე ნაწილი უკან მისდევს გერმანელთა მოწინავე ნაწილს. ფრანგებმა დაიკავეს პინიონის ტყის ნაწილი, სადაც გერმანელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ფრანგებმა დაიკავეს აგრეთვე ვოდისონი, შარლონი და მალმეზონის ფრონტი. შამპანში ფრანგები იმარჯვებენ.

ბ ე რ ლ ი ნ ი. ატლანტიის ოკეანეში გერმანელთა წყალ-ქვეშა ნავებმა ჩასძირა მტრის რამდენიმე გემი 26000 ტონიანი.

### რ უ ს ე თ ი.

მ ო ს კ ო ვ ი. 28 ენკენისთვე. ციმბირის მთავრობის დაგვიანება უფაში მომხდარ თათბირზე აიხსნება საბჭოს ჯარების მიერ რკინისგზის დაკავებით. ციმბირის მთავრობის მატარებელს დაუშინეს და იგი შემთხვევით გადარჩა ტყვეობას.

როსტოვში მეჭდავთა მასიური დაპატიმრება ხდება.

დონმა და ყუბანმა საქონლის გაცვლა-გამოცვლის ხელშეკრულება დასდვეს.

ს მ ო ლ ე ნ ს კ ი. ნოემბერში გაიხსნება დასავლეთ კომუნის სახალხო უნივერსიტეტი.

ე გ ო რ ი ე ვ ს კ ი. გავრიელის სოფლის ყრილობამ დაადგინა დახუროს კერძო დუქნები და კომუნისტურ საფუძველზე მოაწყოს საზოგადოებრივი დუქანი და საჩაიე.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი. გლეხთა უნივერსიტეტში მაცადინეობა კარგათ მიმდინარეობს. მოაწყობენ დამზადებულ ტანსაცმელის სახელოსნოებს. ტანისამოსს გასცვლიან პურში.

### პოლონეთი.

ვ ა რ შ ა ვ ა. სარეგენტო საბჭომ ყოფილ პრემიერ კუხარჟევსკის მიმართა თავის თავმჯდომარეობით შეადგინოს ახალი კაბინეტი. იგი დასთანხმდა და სამინისტროში სხვათა შორის მიიწვია ლედნიცკი.

### უკრაინაში.

უკრაინის ვაჭრობა-მრეწველობისა და შრომის მინისტრმა შეიმუშავა პროექტი 12 საათის სამუშაო დღის შესახებ.

უკრაინის მთავრობა ბერლინში განსაკუთრებულ დელეგაციას გზავნის, რომლის მიზანია უკრაინისთვის შავი ზღვის ფლოტის გადაცემის საკითხის გამორკვევა.

საზავო დელეგაციამ დამშეულ სატახტო ქალაქებისთვის იყიდა 800,000 ფუთი პური.

კისტიაკოვსკიმ მოიწვია უკრაინელი სოც.-დემ. და სოც.-რევ. კაბინეტში შესვლის საკითხის გამოსარკვევათ. ს. დემ. არ მივიდნენ. ფედერალისტებმა მოითხოვეს ნაციონალური კაბინეტის შექმნა. ეს თათბირი გამოწვეულია ბერლინიდან მიღებულ ინსტრუქციით, სადაც კაბინეტის პოლიტიკა არ მოსწონთ.

### უ ც ხ ო ე თ ი.

ბულგარეთის საზავო წინადადება.

ს ო ფ ი ა, 26 ენკენისთვე. მთავრობის ბლოკის ჯგუფებმა შემდეგი ნოტა გამოაქვეყნეს: „ბლოკის ჯგუფებთან შეთანხმებით, ბულგარეთის მთავრობამ 25 ენკენისთვეს დროებითი ზავის ოფიციალური წინადადება მისცა მტერს".

გერმანიის რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 27 ენკენისთვე. რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში დაახასიათეს დასავლეთის ფრონტის მდგომარეობა. ჩვენი იერიშების შეჩერების შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა. ჩვენ უნდა თავდაცვაზე გადავსულიყავით. პირველად ჩვენზე მტერი იმარჯვებდა, მაგრამ ჩვენ ფრონტი მალე გავამაგრეთ. მტრის განმეორებითი შეტევები მოვიგერიეთ. ასე რომ პირველი შეტევის დროს მოწინააღმდეგემ ფაქტიურად გაიმარჯვა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მტრის ფართო სტრატეგიულ მიზანს, მაშინ მტერი გამარჯვებულათ არ ჩაითვლება. ანკრის და ავრის შუა ინგლისელთა გამარჯვება მიეწერება მოულოდნელ თავ-დასხმას. ჩვენს პოზიციებში მათმა შემოჭრამ გვაიძულა ჩვენ უკან მოდიდიესკენ დაგვეხია. აქ მტრის შეტევები დაგვიანებული გამოდგა. 18 ენკენისთვეს. მტერმა დაიწყო შეტევა უაზის და ენის შუა. აქაც ჩვენ უკან დახევით ვუპასუხეთ. ჩრდილოეთით ინგლისელებმა ახალი შეტევები დაიწყეს სკარპის და სომას შუა. აქაც დავიხიეთ წინათ გამაგრებულ პოზიციებზე. ახალ პოზიციებზედაც ჩვენ მტრის შეტევებს ველოდებოდით და გავუმკლავდით მიდამო იპრის და ლაბასეს შუა. ამ ბრძოლებში ჩვენ, როგორც თავდაცვის მწარმოებლებმა, ბევრი ზარალი ვნახეთ. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მტერმა პირველ დღეებში ცოტა ზარალი ნახა და გაიმარჯვა, საერთოდ კი ის დაზარალებულია. ამერიკელთა ჯარებიც ვერ დაგვაშინებს ჩვენ, მათაც გაუსწორდებით. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ტანკების საკითხი, მაგრამ მაგათ წინააღმდეგაც შეიარაღებულნი ვართ.

რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში ფეგბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს: „ზოგი შემთხვევების მიხედვით არ შეიძლება იმსჯელოთ საერთოდ საქმის მდგომარეობაზე. შემთხვევას ყოველ ომში აქვს ადგილი, ჯარის და მისი ხელმძღვანელების ძლიერება შეურყეველია, წინააღმდეგობა კი დამოკიდებულია შინაურ ფრონტის სიძლიერეზე. ლუდენდორფის და შტუტგარდის სიტყვები მთავრობის და უმაღლესი მხედრობის მოქმედების გამომხატველი იყო. ცენტრი მზათ არის ამ მოქმედების პროგრამა მიიღოს. ორატორებმა აღნიშნეს სამხედრო და საადმინისტრაციო ხელისუფალთა შორის გაურკვეველი მდგომარეობა, და აგრეთვე გაკიცხეს მთავრობის მხრივ ტახტის და მთავრობის შესახებ. მოსაზღვრე მცხოვრებთ თვითმართველობის უფლება უნდა მიეცეთ. დინასტიურ ინტერესებს არავითარი ადგილი არ უნდა ეჭიროს. მოსაზღვრე ერთა თვითგამორკვევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს და სამხედრო ადმინისტრაცია უნდა გაუქმდეს.

ს. დ. წარმომადგენელი შეიდემანი აცხადებს: „კანცლერს კერძო მტრები არა ჰყავს პარლამენტში, მაგრამ სოც. დემ. პარტიაში არსებობს წმინდა ობექტიური მტრული განწყობილება მისდამი. დასავლეთის დამარცხებამ იმედი დაუკარგა ყველას, მაგრამ მტერი შეცდება თუ იგი გერმანიის განადგურებას ფიქრობს.

ბ ე რ ლ ი ნ ი, ენკენ. 27. რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში საერთო კამათის დროს სოც.-დემ. წარმომადგენელმა შეიდემანმა გააკრიტიკა მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკა, ისე, როგორც კანცლერის პოლიტიკა ბელგიის საკითხში და დაასკვნა: „სოციალდემოკრატია შეურიგდება მთავრობის პოლიტიკას, თუ მთავრობა შესძლებს გონიერი ზომები გაატაროს ცხოვრებაში.“

პროგრესისტების წარმომადგენელმა ფიშბეკმა მოითხოვა გრაფ ბურიანის საზავო ნოტის ენერგიულათ მხრის დაჭერა!“ სამხედრო მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ არც სრულიად უიმედო. ომის მიზნებისათვის საჭირო მასალა არის და საბოლოო მიზანი გვაიძულებს ბოლომდე გავმაგრდეთ. მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს შინაურ ძალთა შესაერთებლათ და გასამაგრებლათ. მაგრამ მაინც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საჭიროა ომის შეწყვეტა, საერთაშორისო კონგრესის მოწვევა, ვამტკიცებთ, რომ მილიტარიზმი მიზანი არაა, არამედ სამშობლოს დაცვის საშუალებაა. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ საშუალება, რომ მომავალში შეუძლებელი გახდეს სისხლის ღვრა. თუ ჯარი მხარს დაგვიჭერს ამ გადაწყვეტილებაში, მაშინ შინაური ფრონტი შეურყეველია, ჩვენ ვენდობით ჯარს და მის ხელმძღვანელებს, ნაციონალლიბერალურ პარტ. ლიდერი შტრეზემანი შეუერთდება უმრავლესობის პროგრამას. ორატორი ამჟამინდელ ცვლილებით ნაბიჯს პოლიტიკური ახალი მდგომარეობის შექმნით ხსნის.

ბ ე რ ლ ი ნ ი, ენკენ. 28. რეიხსტაგის მთავარ კომისიაში სტატს-სეკრეტარი ფონ-გინტელე შეეხო ბულგარეთის მდგომარეობას და სთქვა: სამხედრო ცნობის მიხედვით თქვენ იცით, რომ ბულგარეთი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია ბარლაროკსა და ირნოის შუა. შემდეგ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მეზობლად მდგარმა ბულგარეთის ჯარმა. ფრონტიდან მოსული ცნობები ალბად ცუდად გადასცა მთავრობას მინისტრ-პრეზიდენტმა მალინოვმა. გუშინ პრესაში ცნობა იყო, რომ ბულგარეთმა მოწინააღმდეგეს წინადადება მისცა შეაჩეროს სამხედრო მოქმედება და დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ბულგარეთის დელეგაცია, რომელშიაც შედის ფინანსთა მინისტრი ლიაპჩევი, გენერალ-მაიორი ლიუკოვი ⁊ ელჩი რადევი, სალონიკში უნდა წასულიყო, როგორც ამბობენ, ოთხშაბათს საღამოს. ნამდვილად არ ვიცით, ბულგარეთის მთავრობა, როგორც ის ამტკიცებს, მართლა ბულგარეთის მეფის მხედრობასთან, პარლამენტთან და მეფესთან შეთანხმებით მოქმედებს, თუ თავის ნებით. კრება შესდგება ენკენისთვის 30. ზოგიერთი სხვა საბუთი გვაფიქრებინებს, რომ მალინოვმა შეიძლება უარი სთქვას შექმნილ მდგომარეობის განმტკიცებაზე. მთელ სახელმწიფოში დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ამბობენ პრემიერ-მინისტრზე. პარლამენტის უმრავლეს პარტიებს და ხალხის გავლენიან წრეებს დროებით ზავის ან ზავის შესახებ თხოვნის გაგონებაც არ ჰსურთ.

ბულგარეთის საზავო დელეგაცია, პრესის ცნობების თანახმად, ოთხშაბათს უნდა გასულიყო, მაგრამ გუშინ შუადღესაც იქ იყო. ალბად კავშირის ერთგული ელემენტები წინააღმდეგობას გაუწევენ. მაკედონიის ფრონტიდან არა სასიამოვნო ცნობების მიღებისთანავე, გერმანიამ დიდი ძალები გაგზავნა ბულგარეთში, მოკავშირის დასახმარებლად.

ავსტრო-ჰუნგრეთიც დიდ ძალებს გზავნის მაკედონიის ფონტზე. გერმანელთა და ავსტრო-ჰუნგრელთა ძალები სრულიად საკმარისია, რომ აღვადგინოთ სამხედრო მდგომარეობა. მდგომარეობა ჯერ სერიოზულია, მოკლე ხანში მდგომარეობა უფრო გარკვეული იქნება.

### ბულგარეთის საზავო წინადადების გამო.

ტრანსოკეანეს პრესბიუროს ცნობ. ენკენ. 27. (დასაწყისი არაა მიღებული)... მალინოვმა ეს წინადადება მარტო თვითონ მისცა; მეფეს, პარლამენტს და ბულგარეთის მხედრობას ამის ნება მისთვის არ დაურთავთ რადგან ბულგარელები თავის მოკავშირეებთან ლოიალურათ იყვნენ, ამიტომ მალინოვის ამ ნაბიჯმა დიდი მღელვარება გამოიწვია. ბულგარელებისათვის სამხედრო დახმარების გამო ზომები მიღებულია, თუ სოფიიდან მოსულ ცნობას დავუჯერებთ, პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ მტრული მოძრაობაა.

### დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 28 ენკენისთვე. ბულგარეთის წინადადებაზე სამთა შეთანხმების სახელმწიფოების მიმართ შემდეგი ცნობა მოვიდა სოფიიდან: მმართველ პარტიების ბლოკმა გამოაქვეყნა შემდეგი ნოტა: პარტიების ბლოკთან სრული თანახმობით მთავრობამ 25 ენკენ. საღამოს 5 საათზე მტერს წინადადება მისცა დროებითი ზავის ჩამოგდებაზე. პარტიათა ბლოკმა მიმართა მოწოდებით მცხოვრებლებს, სადაც აღნიშნავს რომ საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო დისციპლინის დაცვა, რომელიც საჭიროა ზავის წინადადების სასურველ დასაბოლოვებლათ. ნაციონალური ყრილობა მოწვეულია 30 ენკენისთვეს. მეორე ცნობა ასეთია: სოფია, 26 ენკენისთვე. ვიღებთ რა მხედველობაში უკანასკნელ დროს შექმნილ მდგომარეობას... (დამახინჯებულია) ბულგარეთის მთავრობამ რომელიც მოწადინებულია ბოლო მოუღოს სისხლის ღვრას, დაავალა მთავარ სარდალს წინადადება მისცეს შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარის სარდლებს სალონიკში შეაჩერონ ბრძოლა იმ პირობით, რომ დროებითი ზავის დასრულებამდის საზავო მოლაპარაკება დაიწყოს.

### ნახშირის სიმცირე

ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ნახშირის უქონლობის გამო კერძო წარმოება შესუსტდება. ინგლისის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რათა აკრძალულ იქმნას თეატრების, კინემატოგრაფების და სხვათა განათება.

### რუსეთის შესახებ

ც ი უ რ ი ხ ი, ენკ. 27. პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ პეტროგრადისა და საბჭოთა ჯარების შორის დაძმობილება ხდება. ყაზახებმა უარი განაცხადეს სამთა კავშირის სახელმწიფოთა „კომანდირების“ მორჩილებაზე და საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდნენ. დიდი ზარალის გამო, ჩეხო-სლოვაკები იძულებულნი შეიქნენ ფრონტიდან უკან დაეხიათ.

### ჩინეთი

ვენა, ენკ. 28. ჩინეთიდან იტყობინებიან, რომ იქ სრული არევ-დარევაა. სამთა შეთანხმების სახელმწიფოებიდან მოდის ცნობები, რომ ჩინეთში შემოყვანილი იქნება ამერიკიდან ინგლისელთა ჯარები. იაპონიის მხრივ მოსალოდნელია პროტესტი ასეთი ცალმხრივი გამოსვლის გამო.

### ბულგარეთის დამარცხება

(დასაწყისი მიღებული არ არის). ბულგარელები დიდ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ისინი დიდათ დაზარალდნენ. ბერძნებმა, ფრანგებმა, ინგლისელებმა და იტალიელებმა სრულიად დაამარცხეს ისინი მონასტირისა და ვარდარის შუა. მტერი უკან იხევდა. მოკავშირეებმა დაამარცხეს ბულგარელები. ბულგარელებზე გამარჯვება, ბულგარელთა ლაშქრის სრულ დამარცხებას ნიშნავს.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

◯ საქართველოდან გასვლის მსურველთ მოწმობებსა და პასპორტებს დღეიდან მხოლოდ საგუბერნიო კომისარი მისცემს.

◯ 1 ოქტომბრიდან ძალაში შედის სპეკულიაციის წინააღმდეგ ეროვნულ საბჭოს მიერ შემუშავებული კანონი.

◯ სომეხთა დიპლომატიური მისია შეეკითხა გარეშე საქმეთა სამინისტროს: ვრცელდება თუ არა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კანონი კერძო მესაკუთრეების მამულების ჩამორთმევისა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე და თუ არ ვრცელდება, როგორი წესით უნდა დაუბრუნდეთ მათ ის ადგილები, რომლებიც საადგილ-მამულო კომიტეტებმა უკვე ჩაიბარეს.

◯ ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა განათლების სამინისტროს, რათა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრას გერმანიის დელეგაციის წინაშე, რომ 100 ქართველ სტუდენტს ნება დართოს დაუბრკოლებლივ გერმანიაში გამგზავრებისა უმაღლეს სწავლის მისაღებად.

◯ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის გერმანელ მოქალაქეთა კავშირმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მიიღოს ზომები მუხრანის ნაწილში მოსახლე სოფ. გეორგსტალის მცხოვრებ გერმანელთ ქონების უზრუნველსაყოფათ იმ თავდასხმისაგან, რომელსაც აწარმოებენ მეზობელი სოფლები ძველი ყანდის, პატარა ყანდის და წეროვნის მცხოვრებნი.

## ქართული ლატარია.

◯ ლატარიის ბილეთების საჯარო ვაჭრობის დღეებმა შაბათს და კვირას სასურველი ნაყოფი გამოიღო. საზოგადოთ ეტყობოდა, რომ ხალხი დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ საქმეს. ქალაქის სხვა და სხვა უბანში მანდილოსანნი ქუჩებზე ჰყიდნენ ბილეთებს. კვირას კახეთის მოედანზე მოაწყეს ასეთივე ვაჭრობა, რომელიც შებინდებამდის გაგრძელდა. შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ არ არის გამორკვეული ჯამი შემოსავლისა.

◯ ამ დღეებში ლატარიის გამგეობა მიემგზავრება ქუთაისს და სხვა ქალაქებში, სადაც ამნაირსავე ვაჭრობას მოაწყობს.

## სახალხო განათლება.

◯ დღეს, 1 ოქტომბერს, სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში (ვაგზლის ზევით), საღამოს 7 საათზე მოხდება ამ წლის დასაწყისისთვის პირველი ქართული ლექციის დაწყება. განყოფილების გახსნას დაესწრება ლექტორთა მთელი შემადგენლობა. შესავალ სიტყვას სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე და საერთო განათლების, ცოდნის შეძენის საჭიროებაზე წარმოსთქვამს ილ. ნაკაშიძე და გ. ნათაძე წაიკითხავს ლექციას: „მსოფლიო ისტორიის შესავალზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ბევრი აღმოჩნდა ქართულად ლექციების მკითხველთა მსურველნი. ყველა მსურველთ არა აქვთ საშუალება ლექციები წაიკითხონ, მაგრამ მომავალ შაბათს, საღამოს, შემუშავდება ლექტორთა სია. ჯერ-ჯერობით კი ლექციებს წაიკითხავენ შემდეგი ლექტორები: მ. არსენიძე: სოციალიზმის ისტორია, ილ. ნაკაშიძე: ევროპიულ ხალხთა ცხოვრება და მწერლობა (ბუნდოვანი სურათებით), გ. ნათაძე: მსოფლიო ისტორიის შესავალი, სერ. ქორქოლიანი: ქართული ლიტერატურის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია და უფლების ისტორია, ხუციშვილი: მსოფლიო ისტორია, კალ. ქავთარაძე: ფიზიკა, დეკანოზიშვილი: ასტრონომია. უნივერსიტეტის პროგრამა თანდათან შეივსება და მომავალში მოწესრიგდება დანაჩენ საგანთა შესახებ ლექციების კითხვა.

◯ ამ დღეებში ტფილისში მიხეილის პრ., № 132, გაიხსნება ბუხჰალტერთა კურსები, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაექვემდებარება.

◯ 10 ენკენისთვეს, 1 გიმნაზიასთან იხსნება ქართულ ენის კურსები ორთავე სქესის მოზრდილთათვის. სწავლა საღამოობით იქნება. პროგრამა: წერა-კითხვა, ვარჯიშობა ლაპარაკში, გრამატიკა, ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია საქართველოსი. მიზანია— კურს-დამთავრებულებმა იმდენათ შეისწავლონ ენა, რომ შესძლონ ადგილის მიღება მთავრობის დაწესებულებებში.

◯ გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი სკოლებისა ⁊ სკოლების გარდა საყოველთაო სავალდებულო სწავლებას შესახებ. თათბირზე მოწვეულ არიან სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელნი და მცოდნე პირები.

◯ მთავრობის დადგენილებით საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლებში ქართული ენა სავალდებულოა. უფროს კლასებში კი მსურველთათვის. ამ საგანს თვითეულ სასწავლებელში დასჭირდება ერთი შტატის მასწავლებელი, რომელსაც ჯამაგირი დროებით სანამ საერთო ხარჯ-აღრიცხვა დამტკიცდებოდეს, უნდა მიეცეს სასწავლებლის სპეციალურ თანხიდან. საქართველოს ისტორია სავალდებულო უნდა იყოს არაქართველთათვისაც, მაგრამ, ვინაიდან მოწაფეთ ჯერ-ჯერობით ქართული არ იციან, მისი სწავლება დროებით უნდა მოეწყოს რუსულად. ამ საგნისთვისაც საჭირო იქნება თითო შტატის მასწავლებელი, რომელთაც ჯამაგირი უნდა მიეცეს სპეციალურ თანხიდან.

## ადმინისტრაცია.

◯ სიონის ქუჩაზე საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწემ პ. ზ. ფაჩულიამ აღმოაჩინა 1500 ფ. შაქარი, რომელიც ხელწერილ ქვეშ ჩააბარა ი. თ. ხუნუნცს, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაფერ განკარგულებას არ მოახდენს.

◯ აფრიკიანის ქარვასლაში საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე პ. ზ. ფაჩულიამ სომეხთა ცენტრალურ კომიტეტის საწყობი დაბეჭდა, სადაც აღმოჩნდა ფართლეულობა 1 მილ. მანეთისა.

◯ მანთაშევის ქარვასლაში (დახურულ ბაზ.) საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწემ პ. ზ. ფაჩულიამ აღმოაჩინა 50 ვაგონამდე შაქარი, რომლის პატრონი ჯერ არ სჩანს.

◯ გაიდამაკინის ქალალდის საწყობში საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა სხვა და სხვა საკანცელარიო, საგაზეთო და სასკოლო გადამალული დიდძალი საქონელი, რომელიც დროებით ჩაჰბარდა მთავრობის სტამბის წარმომადგენელს კობიძეს.

◯ საგანგებო რაზმმა გუშინ შეიპყრო 14 ურემი 83 ტომარა გლაუბერის მარილი, რომელიც არზუმანოვის სახელზე იგზავნებოდა ტფილისში მუხროვანიდან.

◯ სოხუმის საოლქო კომისარიატმა წარმოუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შტატები საოლქო კომისარიატის, საოლქო მილიციის უფროსთა, სოხუმის მილიციის უფროსის და საოლქო მილიციის შესანახად. თანახმად ამ ახალ შტატებისა ყველა მათ დღევანდელ სიძვირისა გამო ემატებათ ჯამაგირი თითქმის ერთი-ორად.

◯ ფოთიდან ტფილისს დაბრუნდა სისხლის სასამართლოს მილიციის უფროსი პ. ჩაჩავა, რომელსაც ფოთში დაუპატიმრებია 3 კაცი, რომელთაც აღმოსჩენიათ 75000 მან ექსპედიციიდან გატაცებული ფული.

## სასურსათო საქმე.

◯ 28 ენკენისთვეს უკრაინიდან გერმანიის ტრანსპორტით ჩამოიტანეს ფოთში 114 ათასი ფ. ხორბალი. ეს ხორბალი გერმანელებმა იყიდეს საქართველოს ქალაქთა კავშირისთვის, თამბაქოს ნაცვლად. ხორბალი, ტომრების მიღებისთანავე, ტფილისში გამოიგზავნება.

◯ კახეთიდან დაიწყეს იმ ხორბლის ჩამოტანა, რომელიც ქალაქის თვილმმართველობის სასურსათო განყოფილებამ ქალაქის საჭიროებისთვის იყიდა. პური ნაყიდია— 115—120 მან. ფუთი. სიმინდი 50—60 მან. თეთრი ქერი—70 მან. ფუთი. უკანასკნელად ბევრი თეთრი ფქვილი მოდის ჩრდილოეთ-კავკასიიდან და ამის გამო ბაზარზე ფასი დაეცა 250 მან. ხორბლის ფასი 160 მან.

◯ ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილება შუადგომლობს რათა გადაეცეს მას ათი ვაგონი შაქარი ოქტომბრის რაციონის დასარიგებლათ იმ პირობით, რომ ქალაქის თვითმმართველობა ეხლავე ფულათ შეიტანს 200000 მანეთს და დანარჩენ ფასს დაუბრუნებს სამინისტროს ორი კვირის განმავლობაში შაქრის გაყიდვის შემდეგ.

◯ ტეხნიკურ ძალათა კავშირის საბჭომ დაადგინა დაარსოს იაფ-ფასიანი სასადილო, სადაც ამ კავშირის წევრთ შეეძლოს 4 მანეთათ სადილობა.

იმავე კავშირის საბჭომ დაადგინა ტფილისში თავის კოოპერატიული სასურსათო დუქანი გაალოს.

## ბოროტმოქმედება.

◯ 27 ენკენისთვეს კახეთის ქუჩაზე, ნავთლუღის სადგურის ახლო, მილიციონერებს ჟ. იმედაშვილს დ. ზუკაკიშვილს და ი. ეპიტაშვილს 15 შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი დაეცა, წაართვეს 2840 მან. ვერცხლის სარტყლები საათები და ვინტოვკა. მოჰკლეს ზუკაკიშვილი და მძიმეთ დასჭრეს ეპიტაშვილი. მეექვსე კომისარიატის კომისარმა დაატუსაღა ბოროტგამზრახველები, რომლებიც აღმოჩნდენ: ტ. გვიმბრაძე, გ. ნასტილაშვილი, რომელთაც თან ჰქონდათ წართმეული ვინტოვკები.

◯ 28 ენკენისთვეს, მიხეილის ქ. № 131 ბოროტ-მომქმედებმა ხანჯლით მოჰკლეს ა. მაგაკოვი.

29 ენკენისთვეს მადათოვის ქუჩაზე ბოროტგანმზრახველებმა კოლდაჩიანცის მაღაზიიდან წაიღეს 86 ათას მანეთის საქონელი.

◯ 29 ენკენისთვეს, ღამით ბოროტ განმზრახველებმა მოჰკლეს ტფ. საარტილერიო საწყობის დარაჯი.

◯ 26 ენკენისთვეს ღამით პილასოვის სახლიდან ბოროტმომქმედებმა წაიღეს 16 ათასი მან. რუსული ფული, 30 ათასი მან. ბონები 4 რევოლვერი და სხვა და სხვა საქონელი 134 მ.

## რკინის გზაზე.

◯ გზათა სამინისტრომ სთხოვა საგარეო საქმეთა მინისტრს შეატყობინოს ოსმალთა მთავრობას, რომ შესაფერი შეთანხმების დამყარებამდე საქართველოს რკინის გზებმა შესწყვიტონ ფასდადებულ ტვირთების მიღება მეზობელ რკინის გზებზე.

## ხოლერა..

◯ უკანასკნელ ორ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს (?) ხოლერიანი და 8, საეჭვო ავადმყოფი. ხოლერის განყოფილებაში გადაიყვანეს ორი. მორჩა 6. გარდაიცვალა 12 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავადმყოფი. 28 ენკენისთვეს სულ იყო 79 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავადმყოფი.

## სხვა და სხვა ამბები.

○ კვირას, 29 ენკენისთვეს შესდგა კრება სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურე კავშირის წევრთა. კრებამ დაადგინა, თუ ამიერ-კავკასიის ბანკი არ დასთანხმდება მე ბანკში მოსამსახურე ქალიშვილის უკანვე მიღებაზე 3 დღის განმავლობაში, მაშინ მსახური ამ ბანკისა გაიფიცებიან, თუ ზემოთ აღნიშნული არ დაკმაყოფილდება, მაშინ ტფილისის სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურენი გაიფიცებიან, შემდეგ კი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

○ ტფილისში ჩამოვიდა პროფესორი ს. ზ. ქურდიანი, რომელიც დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ტყეთა ინსპექტორად.

○ 25 ენკენისთვეს სწრაფად მიმავალი ავტომობილი კახეთის ქუჩაზე დაეჯახა და სასიკვდილოდ დაჭრა 35 წ. უცნობი კაცი.

○ 27 ენკენისთვეს დღის 12 საათზე ნავთლუღის ქუჩაზე № 3-ში ოჯახური უთანხმოების გამო თავი მოიკლა ათვანოვმა კუზმინმა.

○ გენ. მაზნიაშვილი დღეებში სახობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის ციხის შეკეთებისთვის საჭირო თანხის გაღებას.

○ ენკენისთვის 25, სამხედრო მინისტრმა ინახულა ქუთაისის მეცხოველე ჯარი. 26-ში წავიდა სამტრედიაში, სადაც დაათვალიერა საწყობები და საზღვრებიდან. საღამოს 6 საათზე სამტრედიიდან გავიდა.

○ ტფ. პოლიტეხნიკუმი. 25 ენკენისთვეს მრავალ რიცხვიან სტუდენტთა თანდასწრებით გაიხსნა ტფილისის პოლიტეხნიკუმი. პროფ. მესხიშვილმა ლექცია წაიკითხა. ამ წელს პოლიტეხნიკუმში დაარსდება ადგილობრივი ენების განსაკუთრებული კათედრა. სტუდენტთა რიცხვის რაოდენობით პირველი ადგილი ქართველებს უჭირავთ.

○ ერევანში სომხეთა მთავრობის ცნობით აგვისტოს 12-დან ენკენისთვის პირველამდე ავად გამხდარა ხოლერით 402 და გარდაცვლილა 239. ამას გარდა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში ამ ხნის განმავლობაში ხოლერით 811 კაცი გამხდარა ავათ.

○ ქუთაისის გუბერნიაში ენკენისთვეს პირველიდან 15-ედ მიწის შემდეგ კომისიას საბლანკო ფონდში გადაურიცხავს 2109 დესეტინა კერძო მესაკუთრეთა მიწა.

○ ქუთაისის საპყრობილეში დაპატიმრებულია ამ ჟამად 229 ბოლშევიკი.

## უცხოეთი.

ფინეთი.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: მეფის არჩევის ნიადაგის მოსამზადებლად მთავრობის დელეგაცია გერმანიაში წავიდა.

ფინეთის სეიმის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებით მეფის არჩევის დღედ 27 აგვისტო იყო აღიარებული.

ავსტრია-უნგრეთი.

ავსტრია-უნგრეთის საზავო ნოტამ მთელ ქვეყნებში დიდი ყურადღება მიიპყრო, განსაკუთრებით კი ნეიტრალურ სახელმწიფოებში. პრესა დიდის გატაცებით თითქმის ამ ნოტის შესახებ. ოსმალეთის პრესა გულმხურვალედ ეპყრობა ამ სიმპატიურ მოვლენას, თუმცა გამარჯვება შეუძლებლად მიაჩნია.

გერმანია.

16 ენკენისთვეს ბერლინში მყოფ ურაინის ჰეტმანმა სასტუმრო „ადლონში" დიდი ბანკეტი გამართა გენერალ გრენერისა და ელჩის მუმის პატივსაცემლად, რომელნიც კიევიდან ბერლინში ჩამოვიდნენ. ბანკეტს დაესწრნენ აგრეთვე ურაინის ელჩი ბარონი შტეინგელი, ჰეტმანის მხლებელი გრაფი ალვენსლებენი, გრაფი ბერხემი და სხვანი. ურაინიაში წასვლის წინ ჰეტმანს განზრახვა აქვს დაათვალიეროს კიდევ რამდენიმე პროვინციის მნიშვნელოვანი სასოფლო მეურნეობის წარმოება.

საფრანგეთი.

საფრანგეთის სათათბირო გასავალი აღიდგა სესხთან ერთად, რომელიც 1919 წლის 1 იანვრიდან არის დასახარჯავი გადადებული 147 მილიარდს უდრის.

მოკავშირეთა მოლაპარაკება.

მომავალ კვირაში მოკავშირეთა მთავრობები გამოაქვეყნებენ სენსაციურ განცხადებას, რომელიც ლონდონის კონფერენციას შეეხება.

ინგლისი.

ინგლისის მთავრობამ 30 ნოემბრისთვის პარლამენტის ახალი არჩევნები დანიშნა. თუ რეფორმა არ მიიღეს ანგარიშში, სადაც რეფორმის გამო ომის დროს დაწერებული კრების არჩევნები ხდება, მაშინ ინგლისი პირველ-რიგი მომავალ სახელმწიფოა, რომელიც ამ ომის დროს პარლამენტის არჩევნებს ახდენს და ისიც ახალ გაფართოებულ საარჩევნო უფლებებით.

## ეროვნული კონცერტი.

კვირას, 22 ენკენისთვეს, გამართა კონცერტი კომპოზიტორ ნ. ჯ. სულხანიშვილისა. შვიდი თვე არის რაც ეს გუნდი არსებობს.

ჩვენ ამ გუნდის დიდი იმედი გვქონდა, ვინც გაიცნობდა და განეცნობოდა. მას ყველა თანაგრძნობით მიეგება გამოსვლისას, ყველამ გული და სული გაუშალა ალორძინების მომავალთ. მაგრამ ეს იმედები გაგვიცრუვდა. უკანასკნელი კონცერტი სუსტი, პირდაპირ სათაკილო კონცერტი იყო. ისედაც მცირე გუნდს 24 კაცი 10—12 შემცირდა, ქართველების მაგიერ აღმოჩნდნენ იყვნენ რუსები ოპერიდან. ზოგი ერთ რეპერტუარით გამოვიდა; დილეტანტი, მოუმზადებლობა, საქმის ამუშავება აკლდა. არ შეჰქონდა სერიოზულ გუნდის და თვით უმეტეს ნიჭიერ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილს ასეთი გუნდის ლოტბარობა. თუ რომ ბ. სულხანიშვილს ან გუნდის სურვილი აქვს ემსახუროს თავიანთ დანიშნულებას, იყვნენ ხელოვნების ღირსნი მატარებელნი, მაშინ სერიოზულად და გონივრულად უნდა შეუდგნენ საქმეს. მაშინ ხომ გუნდიდან ამის ხალხი სიხარულით.

ერთად ერთი დამამშვენებელი ამ კონცერტის იყო ქ-ნი შულგინა თავის ტკბილ ალტოსით ხმით.

გ. ლეჟავას ძლიერი ხმა აქვს. ბ. ქუმსიშვილმა თავისი შემოქმედება, ფართოდ იცნ შალის ხმას, რადგან ქორალები, აღდგენებ დასჭიდა. ბ. ზობელი ავადმყოფობის გამო ხმამაღ ვერ იყო. საზოგადოება ცოტა დაესწრო და ისიც გულგრილად შეხვდა.

გურჯიშვილი.

## განცხადებანი

ფრანც კუნინსკი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი და ლოტერიის წესისდებით რუსეთ ჩარჩენილ კვიტანცია. 311 3—2

სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ.

ამით ვაუწყებთ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ, რომ

საქართველოს მთავრობის სტამბამ

(ყოფილი ნადირაძისა)

შეიძინა მრავალი ქართული შრიფტი და ასრულებს ყოველგვარ საქმეებს სუფთად და სწრაფად. ამიტომ მივმართავთ ყველა დაწესებულებათ, რომ თავიანთი საქმეები ხსენებულ სტამბაში გამოგზავნონ. მისამართი: დავით-მეტეხის და ჯავახიშვილის ქუჩის კუთხე.

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, ახალციხის ნოტარიუსის მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად დანიშვნის გამო, იწვევს იმ პირთ, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ გასაცხადებელი სარაჯიშვილის საწინდარზე. პრეტენზია უნდა შემოტანილ იქმნას ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 44 3—3

ქ. ტფილისის მეიამე სამოსამართლო განყოფილების სასამართლოს ბოქაული კ. პოტემკოვსკი ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 6 1918 წ. დილის 10 საათზე მე-10 უბანში, ეგრედ წოდებულ დეზერტირების ბაზარზე, მართა ივანოვის „ბუტკაში" საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ქონება გარდაცვლილ ქნ. ადელაიდა ლევის ასულის ნაკაშიძისა, რომელიც შესდგება ტანისამოსისა და თეთრეულისაგან, დაცვის წესისამებრ არის აღნუსხული. (3—2)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 17 ენკ. დამტკიცებულია 1917 წ. დეკემბრის 18 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დიმიტრი გიორგის ძე წოწონავამ 13000 მან. მიჰყიდა იაგორ მაქსიმეს ძე ჯიბუტის მიწის ნაჭერი შენობით, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში იურჩენკოვის ქუჩაზე, ზომით 271 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 992 მან. მთავარი ამონაწერი 125 მან. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ენკენ 17. 500 1—1

ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული კ. პოტიომკოვსკი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბ. 5, დილის 10 საათზე ქ. ტფილისში მე-11-ე უბანში, ხუდადოვის ქ. № 51. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პავლე ბახტინის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ქვის სახლს—ორი ოთახი აივანით. შეფასებულია 600 მან. იყიდება ფოკა სერეგინის ვალის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლით ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლისა 1918 წ. ენკენ. 5. № 640. 189 მან. 76 კ. %. %-ით. 786 1—1

დავკარგე კვიტანცია პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის ტფილისის განყოფილებისაგან გაცემული და მაჩვენებელი, რომ მე მქონდა შეტანილი შესანახათ 2330 მან. 46 კაპ. გთხოვთ ეს კვიტანცია გაუქმებულათ ჩათვალოთ. ეკატერინე ტაიანც. 814 3—1

კავკასიის უწმიდესის და უმართებელესის სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ იქ 1917 წ. თიბათვის 8 ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა ოსიპოვამ შეიტანა თხოვნა მის ქმართან განქ. კარაპეტის-ძე ოსიპოვთან განქორწინების შესახებ, რომელსაც იწვევენ აღნიშნულ კონტორაში გადაწყვეტილებაზე ხელის მოსაწერად დაკმაყოფილების თუ უკმაყოფილების გამოსაცხადებლად. თუ ის არ გამოცხადდება ან განცხადებას არ შემოიტანს უწმინდესი სინოდის სახლზე ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის განმავლობაში—გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი. 803 (1—1)

კავკასიის უწმიდესის და უმართებელესის სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. იანვრის 15 ოლღა ვიქტორის ასულმა პოლტორაცკიმ, რომელიც სცხოვრობს ქ. ერივანში, ნახიჩევანის ქ. № 7. შემოიტანა თხოვნა თავის ქმარ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პოლტორაცკისთან განქორწინების შესახებ. ესენი ჯვარ-დაწერილნი ყოფილან ს. რაზსკაზოვში ტამბოვის ეპარქიის სამების ეკლესიაში, 3 თიბათვეს 1911 წ. როგორც თვით ოლღა პოლტორაცკისა აცხადებს, მისი ქმარი ალექსანდრე პოლტარაცკი 1911 წ. ენკენ. არა სჩანს. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად არის ალექსანდრე პოლტარაცკი, ვალდებულია 6 თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან განუცხადოს ტფილისის სინოდალურ კონტორას. 806 (1—1)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 17 დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ სიმონის-ძე მახარაძემ 1000 მან. მიჰყიდა სოლომონ ოქროპირის ძე მიქიაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში მე-16 კვარტალში, ბეზიმიანის შესახვევი № 149, ზომით 210,33 ოთხკ. საჟ. სიგელი შედგენილია 1918 წ. ივნისის 18. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მან. მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიღებულია 1918 წ. ენკენ. 17. 501 (1—1)

რაჟდენ მეავანაძე, ამით აცხადებს რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო შემდეგი მოწმობები: 1) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების, 2) პარტიული ბარათი და 3) „რაზნოობრაზიიდან" მოცემული კვიტანცია, გასაყიდათ დატოვებულ ნივთის, № 6. მპოვნელს სთხოვენ ზემო-აღნიშნული ქაღალდები შემოიტანონ სასტუმრო „ვეცელში". მომტანი 50 მან. მიიღებს ჯილდოთ. 809 (1—1)

ლუტკოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1916 წ. იანვრის 5, რეესტრი № 10, ბორჯომში უძრავ ქონების გაყიდვის შესახებ. მპოვნელს სთხოვს გაუქმებულად ჩათვალოს. 802 3—1

იოსებ ნიკოლოზის ძე სტეფანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ნოტარიუსის ნიკოლაევის მეოთხე აქტის წიგნიდან ამონაწერი 1904 წ., რომლის ძალით ნ ო. სტეფანოვის საკუთრებად გადავიდა გრიგოლ ხარიტონის ძე შახბუდაგოვის უძრავი ქონება, მდებარე ს. წყნეთში, ტფილ. გუბ. ეს ამონაწერი დამტკიცებულია ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ. 3—3

სიღნ. საგარეჯოში

ხოლერის გაჩენის გამო

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც საგარეჯოში ისე მახლობელ სოფლებში აკრძალულია ნახმარ ტანისამოსის, ხალიჩების და სხვა ძველ ნივთების შემოტანა. ვისაც ამგვარი აღმოაჩნდება, ჩამოერთმევა და დაიწვება.

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი.
433 10—5

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

წესდების § 42 თანხმად აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ მორიგი საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო 30 ენკენისთვისათვის და არ შესდგა იმის გამო, რომ თავის დროზე არ იყო წარმოდგენილი გამგეობაში აქციონერების მიერ აქციები და მოწმობები, დანიშნულია შაბათს, 15 ღვინობისთვეს 12 საათზე, გამგეობის სადგომში (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 73). ეს კრება კანონიერად ჩაითვლება დამოუკიდებლად აქციონერების მიერ წარმოდგენილ კაპიტალის რაოდენობისა. ამ კრებაზე დასასწრებლად აქციების ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახავად ან გირაოდ და არ იქნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე, გარდა უქმეების, დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად შესრულდება ორშაბათს, 7 ღვინობისთვეს 1918 წ. დღის 2 საათ. 540 1-1

## ტფილისის სამხედრო-ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ ყველა ქვემოთ დასახელებულ პუნქტებზე განყოფილების გამგეობაში (ინჟენერის ქუჩა № 2) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაობის გატანაზე (კლოზეტი, ჭუჭყიანი წყლის სასხამი ორმო; სანაგვე ყუთი და სხვ.) იმ შენობებიდან, რომლებშიაც მოთავსებულია ჯარი. იჯარა გაცემული იქნება ინსტრუქციის პირობით, კონტრაქტის დამტკიცებიდან 1922 წ. 1 ივნისამდე. მსურველთ შეუძლიათ რომელიმე ზემოთხსენებულ ოპერაციის ცალკე შესრულება, აგრეთვე ერთი წლითაც. ფასები გაცხადებულ უნდა იქმნეს ერთ კაცზე წელიწადში ცალკე უსუფთაობის გასაწმენდათ, ცალკე ნაგვის გასაწმენდათ და ცალკე კვამლის მილის გასაწმენდად. განცხადებასთან ერთად შემოტანილ უნდა იქმნეს პასპორტი და ცალკე პაკეტში საწინდარი 20% წლიურ საოპერაციო თანხიდან. ქვემოთ აღნიშნულ რიცხვეიში ვაჭრობა ერთსა და იმავე დროს მოხდება: მანგლისში, ალბულახში (ბელიკლუჩი) და ლაგოდეხში გარნიზონთა უფროსების კანცელარიაში. ქალაქ გორში, დუშეთში და თელავში საბაზრო სამხედრო ბეგრის უფროსთა სამმართველოებში. ვაჭრობა გაიხსნება სრულ 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ზემო აღნიშნულ დაწესებულებათა კანცელარიებში ყოველ დღედილის 9 საათ. დღის 3 საათამდე.

| პუნქტების და იჯარების სახელწოდება. | რომელ რიცხვისთვის არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა. | ადამიანების სანიმუშო რიცხვი. უსუფთაობის. | ადამიანების სანიმუშო რიცხვი. ნაგვის. | რიცხვი სახლის მილებისა. უნდა გაიწმინდოს მთელი წლის განმავლობაში | რიცხვი სახლის მილებისა. უნდა გაიწმინდოს [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| უსუფთაობის და ნაგვის გაწმენდა. | | | | | |
| ქ. თელავში | 11 ოქტომბ. | 2000 | 2000 | | |
| ქ. დუშეთში | 12 „ | 1100 | 1100 | | |
| ქ. გორში | 15 „ | 2210 | 2210 | | |
| ალბულახში | 16 „ | 2000 | — | | |
| ლაგოდეხში | 17 „ | 1000 | 1000 | | |
| მანგლისში | 18 „ | 2000 | — | | |
| საკვამლე მილების გაწმენდა. | | | | | |
| ქ. ტფილისში | 10 ოქტომბ. | — | — | 544 | 2479 |
| ქ. თელავში | 11 „ | — | — | 65 | 260 |
| ქ. დუშეთში | 12 „ | — | — | 61 | 291 |
| ქ. გორში | 15 „ | — | — | 68 | 240 |
| ალბულახში | 16 „ | — | — | — | — |
| ლაგოდეხში | 17 „ | — | — | 79 | 221 |
| მანგლისში | 18 „ | | | | |

478. 3—1.

მთავრობის სტამბა.

რედაქტორი პ. დ. ხაჭაპურიძე.